საერთო გაზეთი

№31 (442) • 30 აგვისტო, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ზოგიერთების მიერ დაანონსებული მუქარა, აგვისტოს ბოლოს ცეცხლს შევუნთებთ ხელისუფლებასო, იმ ცეცხლს ხომ არ გულისხმობდა, რომელმაც ლამის ნახევარი საქართველო გადაბუგა?

დიდი ღალატის ანატომია

რაც თქვენ გააკეთეთ, „ნაციონალებო“, სამშობლოს ღალატია ეს და, წესით და რიგით, ბევრი თქვენგანი, თქვენი ბელადის მეთაურობით, ზუსტად ამ ბრალდებით უნდა იხდიდეს სასჯელს, თქვენ კი კვლავ პარლამენტში ზიხართ, სახელმწიფო სტრუქტურებში მიძვრებით, ქართველ ხალხს ახალ-ახალი დაპირებებით ურეცხავთ ტვინს და, რაც მთავარია, იმდენად უტიფრები და სინდისგარეცხილები ხართ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც გააკეთეთ – კვლავ ხელისუფლებაში აპირებთ დაბრუნებას.

როდის შეწყდება კოლექტიური ეძგვერაძეების ძალადობა საკონსტიტუციო კომისიაზე და ქართველ ამომრჩეველზე?

გონიოში „ჩინგიზ ხანის“ ბატონობა გრძელდება!

ხანძარი ბორჯომის ხეობაში ეს იყო ლუსტრაცია იმისა, თუ ვინ ვინ არის...

როგორ გადაარჩინა ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატმა რუსეთი

როდის შეწყდება კოლექტიური ეძგვერაძეების ძალადობა საკონსტიტუციო კომისიაზე და ქართველ ამომრჩეველზე?

„შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა — რომელ პარტიას ეკუთვნი, ეძგვერაძე ბარნაბა?“ — ეს პოპულარული ლექსი დაახლოებით 96 წლისაა, თუმცა აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

ოც პარტიაში გადანაწილებული „ეძგვერაძეები“ საკონსტიტუციო კომისიას კოლექტიურად უტევენ და ხალხს არწმუნებენ, რომ 2020 წელს არჩევნები პროპორციული სისტემით თუ არ ჩატარდება, ქართული დემოკრატია დაიღუპება.

დემოკრატია, ქართულიც და არაქართულიც, ამათ რომ სულ ცალ ფეხზე ჰკიდიათ, არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს.

დემოკრატია კი არა, საკუთარი თავი ადარდებთ პირველ ყოვლისა და იმაზე „ჩალიჩობენ“, პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებისას, იქნება, სადმე გავაძვრინოთ ჩვენი დაბალპროცენტიანი თავიო.

— მაჟორიტარების მონაწილეობა არჩევნებში საერთოდ უნდა აიკრძალოს, არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდესო, — მოითხოვს ოცეული და მრისხანედ იქნევს მუშტებს.

რასაც ეს ოცეული აკეთებს, ამას პირდაპირ შეიძლება დავარქვათ თავისი ნამდვილი სახელი — ძალადობა საკონსტიტუციო კომისიაზე და ძალადობა ქართველ ამომრჩეველზე, რომელსაც არასოდეს არ უთქვამს, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია მაჟორიტარების მონაწილეობა არჩევნებში.

იმის გამო, რომ ამ ურეიტინგო პოლიტიკური შეფერილობის მცირერიცხოვან ჯგუფებს (მათ პოლიტიკურ პარტიებს ვერ ვუწოდებთ...) არ გააჩნიათ არანაირი რესურსი, არანაირი ავტორიტეტი, გვერდით ამოიყენონ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პიროვნებები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით დაამტკიცეს, რომ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ ქვეყნისთვის, რატომ უნდა წავართვათ შანსი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თუ დემოკრატიაზე მიდგება საქმე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაჟორიტარული სისტემა უფრო დემოკრატიულია, ვიდრე პროპორციული სისტემა, რადგან მაჟორიტარული წესით არჩევის დროს მოქალაქეებს მეტი შესაძლებლობები აქვთ გააკეთონ მათთვის უფრო სწორი და მისაღები არჩევანი ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნებების ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით, რის საშუალებასაც პროპორციული სისტემა არ იძლევა, რადგან ამ დროს პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილ პარტიულ სიას ეყრება კენჭი, ეს სია კი, ხშირ შემთხვევაში, თავისი სიჭრელის და ამორფულობის გამო, სულაც არ ემთხვევა ამომრჩევლის გემოვნებას, თუმცა ის მაინც იძულებული ხდება, ხმა მისცეს ამა თუ იმ პარტიას, რადგან მოსწონს მისი პოლიტიკური პლატფორმა, მოსწონს პარტიული სიით წარმოდგენილი პირველი ათეული ან ოცეული, თუმცა არ მოსწონს დანარჩენი ასი თუ ას ორმოცდაათი კაცი, რომლებსაც, მაჟორიტარული წესით არჩევისას, არასოდეს არ მისცემდა ხმას.

ასე რომ, პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში ამომრჩეველი მხოლოდ ნაწილობრივ, სანახევროდ ირჩევს თავის ფავორიტ პარტიას, ირჩევს იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც არ მოსწონს, რომლებთანაც შინაგანად დაპირისპირებულია.

ეს ფარული დაპირისპირება დროთა განმავლობაში, როგორც წესი, ღრმავდება და ბოლოს ამომრჩეველსა და მის მიერ არჩეულ პარტიას შორის სრული გაუცხოებით მთავრდება.

თუ უფრო ჩავუღრმავდებით საკითხს, მაჟორიტარული წესით არჩევაზე საერთოდ უარის თქმა, საარჩევნო სისტემიდან მისი სრულად ამოგდება და ამოძირკვა, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევადაც შეიძლება განვიხილოთ.

მართლაცდა, ვინ მოგვცა ჩვენ უფლება, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, ვთქვათ, ორმოცდაათი ათას თუ ასი ათას ადამიანს, რომლებსაც პოლიტიკურ ველზე მოთამაშე პოლიტიკური პარტიებიდან არც ერთი არ ესიმპათიურება, შეარჩიოს და არჩევნებში წარადგინოს ის დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელიც ამ ადამიანების ნებას, მათ იდეებს და შეხედულებებს გააჰხმოვანებს.

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა 1918–21 წლებში, სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ პოლიტიკური პარტიების დაპირისპირებამ, გაუთავებელმა ქიშპმა და კინკლაობამ შეიწირა.

იმდენად მტრული და აგრესიული იყო ამ პარტიებს შორის დაპირისპირება, რომ საფრანგეთში ემიგრაციაში წასვლის შემდეგაც ამ პარტიების ლიდერები და ცალკეული წევრები ისე წავიდნენ ამ წუთისოფლიდან, ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ.

სამშობლოდაკარგულებს იქ მაინც რა ჰქონდათ გასაყოფი, მაგრამ იმდენად ღრმა იყო პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოშობილი ურთიერთსიძულვილი, რომ ეს სიძულვილი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვათ.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ვიღაც-ვიღაცების მიერ საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს ქვეყნის ხსნა და შველა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ და, აქედან გამომდინარე, არჩევნები მხოლოდ და მხოლოდ პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს და ხელისუფლებაში მოსვლის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს უნდა ეკუთვნოდეთ, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა, შეცდომა, რომელსაც შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს და ქვეყნის განვითარებას, გნებავთ, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, ხელი შეუშალოს.

დღეს 200-მდე პარტიაა საქართველოში, პროპორციულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ეს რიცხვი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პარტიების რაოდენობის ზრდის პარალელურად გაიზრდება და ამაღლდება პოლიტიკური ცხოვრების კულტურა, მისი ხარისხი.

სამწუხაროდ, ქართული კანონმდებლობით, ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად დარეგულირებული, თუ რა არის პოლიტიკური პარტია, რა აუცილებელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი.

200 პარტიაო, კი ვთქვით, მაგრამ ამ ორასი პარტიიდან მხოლოდ რამდენიმეს თუ შეიძლება პარტია ვუწოდოთ, დანარჩენები პოლიტიკური სექტები თუ დაჯგუფებებია, თუმცა პოლიტიკურ კართოტეკაში ისინი მაინც პოლიტიკურ ორგანიზაციებად არიან დარეგისტრირებულნი და პრეტენზიებიც და ამბიციებიც ისეთივე აქვთ, როგორიც პოლიტიკურ პარტიებს.

პოლიტიკურ ცხოვრებაში საკანონმდებლო წესრიგი რომ არის დასამყარებელი, ეს ეჭვს არ იწვევს, თუმცა ამ მიმართულებით, ფაქტობრივად, არაფერი კეთდება.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მომხდარ ერთ ამბავს გაგახსენებთ, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ კურიოზი, თუმცა მას, მოქმედი სამართლებრივი ნორმების მიხედვით, კურიოზად არავინ განიხილავს.

მოგეხსენებათ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ 27 მანდატით შევიდა პარლამენტში, თუმცა სულ მალე ამ 27 კაცს 20 კაცი გამოეყო, სახელად „ევროპული საქართველო“ დაირქვა და დღემდე ამ სახელწოდებით აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას პარლამენტში.

ასეთი პარტია „ევროპული საქართველო“ ცესკოს რეგისტრაციაში არ გაუტარებია, გამომდინარე აქედან, მას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და, ცხადია, „ევროპულ საქართველოს“ ამომრჩეველი ხმას ვერ მისცემდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი პარტია ჩამონათვალთა სიაში არ იყო.

აბა, საიდან გაჩნდა „ევროპული საქართველო“ თუ ის არავის არ აურჩევია?

საიდან გაჩნდა და გაჩნდა იმ კანონის წყალობით, რომელიც პარლამენტარებს პარლამენტში შესვლის შემდეგ უფლებას აძლევს, მოიქცნენ ისე, როგორც მათ მოესურვებათ — გამოვიდნენ იმ პარტიიდან, რომლის პარტიული სიითაც პარლამენტში მოხვდნენ და შევიოდნენ სხვა პარტიაში, გაწევრიანდნენ ნებისმიერ ფრაქციაში, შექმნან დამოუკიდებელი ფრაქცია და ა. შ.

მოკლედ რომ მოვჭრათ, მთავარია, პარლამენტში მოხვდე და მერე შეგიძლია, რაც გინდა, ის აკეთო.

კი, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში რატომ არის, საერთოდ, იგნორირებული ამომრჩეველი, რომლის არჩევანსაც, როგორც ირკვევა, არავითარი წონა და ფასი არ ჰქონდა?

იმის ნაცვლად, რომ ამ ოც პარტიას მსგავსი პარადოქსებისთვის მიექცია ყურადღება, ისინი მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ითხოვენ, რაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ ოცი ხელმოცარული და ურეიტინგო პარტიის გადასაწყვეტი კი არ არის, არამედ ეს გადაწყვეტილება ხალხმა და იმ საკონსტიტუციო კომისიამ უნდა მიიღოს, რომელიც ხალხის ნდობის მანდატით არის აღჭურვილი.

გიორგი გამეზარდაშვილი

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ზოგიერთების მიერ დაანონსებული მუქარა, აგვისტოს ბოლოს ცეცხლს შევუნთებთ ხელისუფლებასო, იმ ცეცხლს ხომ არ გულისხმობდა, რომელმაც ლამის ნახევარი საქართველო გადაბუგა?

ძლიერმა ხანძარმა, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვა, უამრავი ეჭვი და კითხვა გააჩინა. თითქოს მართლაც ვიღაც ასანთით დადის და ცეცხლს უკიდებს აგვისტოს ხვატში გახვეულ ქვეყანას. ამაზე უფრო დიდი გვალვები ყოფილა, მაგრამ მასობრივად არ გაჩენილა ხანძარი – ამბობს ხალხი. საზოგადოება თანხმდება, რომ ხანძარი ხელოვნურად გაჩენილს ჰგავს, მაგრამ „ცეცხლისწამკიდებლებთან“ დაკავშირებით აზრი იყოფა, ერთნი ამ ვანდალიზმის მოწყობაში რუსეთს ადანაშაულებენ, ნაცების „ვარსკვლავგოგონა“ მაია ორჯონიკიძემ მარტო კრემლი კი არა, რუსი ტურისტებიც დააყენა ეჭვქვეშ. საზოგადოების დიდი ნაწილი კი ფიქრობს, რომ ამ საქმეში შინაური მტრების ხელი ურევია. ისე, რაღაც საეჭვოდ დაემთხვა ზაფხულის მიწურულს გაჩენილი მასშტაბური ხანძარი ნაციონალებისა და მათი სატელიტების, მათ შორის, ნაცმოძრაობის სხვა „ვარსკვლავგოგონების“, მეგი გოცირიძისა და ელისო კილაძის დაანონსებულ ცხელ აგვისტოს. ბევრს გაახსენდა, ხსენებული პერსონების მუქარა, აგვისტოს ბოლოს ცეცხლს შევუნთებთ ხელისუფლებასო, შემთხვევით, ამ ცეცხლს ხომ არ გულისხმობდნენო. ეჭვს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ ახალგაჩენილ ხანძრის კერებთან ძალიან „ოპერატიულად“ ჩნდება ნაციონალების რუპორი „რუსთავი-2“, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს წინასწარ იყვნენ ინფორმირებული, სად რა უნდა მომხდარიყო. ხალხი გახშირებულ ხანძრებს სოციალურ ქსელში ასე ეხმაურება: დივერსიაა, ნაციონალების დევიზია — ჩვენ თუ არ ვიქნებით ხელისუფლებაში ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა; ძალიან ბევრს აღარ გვეპარება ეჭვი, რომ ვიღაცები ხანძრებს შეგნებულად აჩენენ; ნაცებს ქვეყნის გადაწვით უნდათ ხელისუფლებაში მოსვლა; ამ ნაბოზარი ნაცების „გაჩალიჩებულია“ ეს საბოტაჟი; ზონდერი ნიკა მელია საერთოდ არ გააკაროთ იქაურობას. 2012 წლის ოქტომბერში ნაციონალები სოროებში შეძვრნენ, ახლა რომ ნახეს მათი დამსჯელი არავინაა, აწიწკინდნენ, ზოგი ხელისუფლების მიმართ გამოთქვამს უკმაყოფილებას — ესეც თქვენი კოაბიტაცია, გველი ნაცები უბეში რომ ჩაისვით, არ იცოდით რომ დაიგესლებოდითო. მავანნი 19 აგვისტოდან გვიანონსებდნენ მეორედ მოსვლას და თითქმის შეგვისრულესო.

ხალხი უკმაყოფილოა „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებითაც, პროვოკატორები არიან, ძალიან უნდათ იმის ჩვენება, რომ მთავრობა არაფერს აკეთებს ცეცხლის ჩასაქრობად, ერთ-ერთ მათგანს სწორედ ამ „მცდელობის“ დროს გადაასხა ვერტმფრენმა თავზე წყალიო. საზოგადოების რისხვას ვერც „ქართული ოცნების“ ყოფილი მოკავშირე ე.წ. პროგრესული მედასავლეთეები გადაურჩნენ, „მელკი ჟულიკები“ არიან, მაგათი დრო წავიდა, სანაგვეზე მოსროლილების აღზევება არ მოხდებაო.

როცა ლამის მთელი საქართველო ცეცხლის ალში იყო გახვეული და ჩვენი დასავლელი „მეგობრები“ იმის გარკვევას ცდილობდნენ რით შეიძლებოდა დაგვხმარებოდნენ, ჩვენმა მთავრობამ რუსეთის დახმარებაზე უარი თქვა. ეტყობა ქართული ჟურნალისტიკის „დედაბოძი“ ელისო კილაძისა და ერთი მუჭა ფსევდოლიბერალების განაწყენებას მოერიდნენ. ქალბატონმა კილაძემ მის მიერ დაანონსებული „ცხელი აგვისტოს“ დღეებში, უსაქციელო ბავშვებივით

დატუქსა ქართველი ძალოვნები, გამოეთრიეთ კაბინეტებიდან სუსი, დაზვერვა, კონტრდაზვერვა, შსს და მოძებნეთ დივერსანტები, ეს რომ დივერსიული ჯგუფია, წყალი არ გაუვა. ორი დღეა საარმიო რესურსის გამოყენებას გეხვეწებით, ახლა ისე არ ქნათ სტრატეგიული მიმართულებები მოაშიშვლოთ, ზაფხულია და აგრესიის საფრთხეა; დაიწყეთ მოხალისეთა რესურსების ათვისება, წრიულ თავდაცვაზე რამე გსმენიათ? შემოავლეთ სანგარი ტერიტორიას და ეცადეთ ისე გაანაწილოთ რესურსი, რომ ცეცხლმა გარღვევა ვერ შეძლოსო. მას ეტყობა დასავლელ ლიდერებთანაც აქვს კავშირი, თორემ ტყუილად ხომ არ მოუწოდებდა საქართველოს მთავრობას, აშშ-ისა და ევროპის სარდლობა მზად არის და მალე შეეხმიანეთ, რომ ტექნიკა წამოიშველიოთო. რჩევას მუქარაც მოაყოლა საქართველოს „დირექტორმა“, აბა გაბედეთ და თხოვეთ ოკუპანტ რუსეთს დახმარება, ქუდზე კაცი გამოვალთ და ცოცხებით გაგყრით თქვე უჯიშოებო. გეყოთ რუსეთის ნომრიანი აგენტი ჯანელიძე რომ გიზით კანცელარიაში, მავნებლების ხელისუფლება ხართო. გამოდის, ქალბატონი კილაძის მუქარების მერე გადაწყვიტა მთავრობამ რუსეთის დახმარებაზე უარის თქმა, ეხუმრებით კილაძისა და მისი „პატრონების“ გამოყვანილ „ქუდზეკაცს“?! მოკლედ, ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. რამდენი კაცის გამომყვანიცაა ეს კასტა, ახლახანს ვიხილეთ აღმაშენებლის გამზირზე. ესენი ფულის გულისთვის ეშმაკს რომ მიყიდია სულს, მთელმა საქართველომ იცის. 240 მილიონი დოლარია თურმე გამოყოფილი რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ „საბრძოლველად“ და ეს კილაძეები, ტუღუშები, ბერძენიშვილები, კინწურაშვილები და ძმანი თუ დანი მათნი, ოღონდ იმ ფულიდან რამე ერგოთ და თუ გინდა მთლიანად გადამწვარა საქართველო.

რუსულ პროპაგანდას, მით უმეტეს მის გაძლიერებას რატომღაც მხოლოდ ნაციონალები, მათი სატელიტები და მხარდამჭერები ხედავენ. ეს „საფრთხობელაც“ თვითონ გამოიგონეს, რომ როგორმე მსუყე დაფინანსება მიიღონ. ქვეყნის უბედურებასაც კი ქულების ჩასაწერად იყენებენ, ხალხს თვალში ნაცარს აყრიან, ნახეთ როგორ „ვებრძვით“ რუსეთსო. აი, ზუსტად ეს არის ფსევდოპატრიოტიზმი!

საზოგადოების უმეტესი ნაწილი რომ უკიდურესად გაღიზიანებულია რუსეთის დახმარებაზე უარის თქმის გამო, დაინტერესებულებს შეუძლიათ სოციალურ ქსელში იხილონ. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე კომენტარს გთავაზობთ, უფლებადამცველი **ნიკოლოზ მჟავანაძის** განცხადებით, რუსეთმა ხანძრების გაჩენისთანავე გამოყო ილ-76 მარკის უმძლავრესი თვითმფრინავი, ხოლო ამერიკელებმა ხანძრის ჩაქრობის მერე გამოგვიგზავნეს მეხანძრის ფეხსაცმელები.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია: რუსეთის მიერ შემოთავაზებული თვითმფრინავი, ერთ ჯერზე 40 ტონა წყალს ცლის, თურქების ვერტმფრენი კი, რომელსაც ძლიერი ქარის მომიზეზებით არ გვაძლევდნენ – 15 ტონას. ერთ მხარესაა „ისტორიული მტერი“ რუსეთი, რომელიც მძლავრი თვითმფრინავით გთავაზობს დახმარებას, მეორე მხარეს კი „ისტორიული ძმა“ და „სტრატეგიული მოკავშირე“ თურქეთი, რომელსაც ვთხოვთ ხსენებულ ვერტმფრენს და არ გვაძლევს.

ამ ვაი-ოპოზიციამ „მომაკვდინებელ ცოდვაში“ ამხილა საქართველოს მთავრობა, პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს ოფიციალურად უთხოვია „ოკუპანტებისთვის“ დახმარებაო და იმუქრებიან, შესაძლოა პასუხისმგებელი პირების გადადგომა მოვითხოვოთო. „რუსთავი-2“-მა გვამცნო, ხელისუფლებას სადეპუტატო შეკითხვას სალომე სამადაშვილი გაუგზავნის, განმარტებას ელოდება „ევროპული საქართველოცო“.

მასობრივ ხანძარს რომ დივერსიის სუნი უდის, ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ყველაფერი სრულყოფილმა და ობიექტურმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

დიდი ღალატის ანატომია

ვახტანგ ხარჩილავა

(დასასრული, დასაწყისი იხ. „სგ“ N30)

რაც შეეხება „გულუბრყვილო“ სააკაშვილის მიერვე გაჟღერებულ ვერსიას, რომ საქართველო პროვოკაციაზე წამოაგეს, თუ კარგად მივაყურადებთ 5–6–7 აგვისტოს სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ეს განცხადებები არაფრით არ ჰგავს პროვოკაციაზე წამოგებული და შეცდომაში შეყვანილი კაცის განცხადებებს.

და საერთოდ, რას ნიშნავს პროვოკაციაზე წამოგება?

რას ნიშნავს და იმას, როცა ვიღაც საიდუმლოდ ინახავს რა თავის ბნელ ზრახვებს, ცდილობს ისეთი საქციელი ჩაგადენინოს, რომელიოც არ იცი, რომ რაღაცით დაგაზარალებს და დაგაზიანებს.

რა არ იცოდა სააკაშვილმა, რას ვერ ხვდებოდა ისეთს, რასაც შეიძლება პროვოკაცია და პროვოკაციაზე წამოგება დავარქვათ?

განა სააკაშვილმა არ იცოდა, რომ როკის გვირაბს მიღმა რუსეთის 58-ე არმია იდგა 70 000 ჯარისკაცით და დიდძალი სამხედრო ტექნიკით, რომელიც ქართული მხარის მიერ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში აუცილებლად ჩაერთვებოდა ბრძოლაში.

თუ მაინცდამაინც პროვოკაციაზე წამოგებაზე უნდა ვილაპარაკოთ, სააკაშვილმა, თავის ხროვასთან ერთად, პირველ ყოვლისა, პროვოკაციაზე თვითონ წამოაგო საკუთარი თავი, პროვოკაციაზე წამოაგო ქართული ჯარი და მთელი საქართველო, რაც ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20%-ის დაკარგვად, ასეულობით ადამიანის სიცოცხლედ, ქვეყნის ნგრევად და პარტახად დაუჯდა, თუმცა არც სააკაშვილს და არც მის ბანდას პასუხი არაფერზე არ უგიათ.

აგვისტოს ომის დამთავრების შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს სააკაშვილსა და ცხინვალის რეგიონში მდგარი რუსი სამშვიდობოების ხელმძღვანელობას შორის სამხედრო კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე შედგა ფარული გარიგება, რომლის მიხედვითაც, სამშვიდობოები გაიწეოდნენ და ქართულ ჯარს საშუალებას მისცემდნენ ცხინვალში შესულიყო, რის შემდეგაც ქართული ჯარი ადვილად გადაკეტავდა როკის გვირაბს, დაიკავებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს და ობიექტებს, გადაკეტავდა გზებს და მთელ რეგიონში კონსტიტუციურ წესრიგს აღადგენდა.

იმასაც ამბობდნენ, რომ ამ გარიგებაში ქართულმა მხარემ რუს სამშვიდობოებს ძალზე სერიოზული თანხა გადაუხადა.

სააკაშვილი და მისი ტვინით გაპენტილი „სამხედრო სტრატეგოსები“ სამოქალაქო სექტორიდან – ბოკერიები, ადეიშვილები, უგულავები, თარგამაძეები, მერაბიშვილები, იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ამ „გენიალური“ გეგმის განხორციელებაში, რომ **გორში წინასწარ ჰქონდათ დასაწყობებული დიდძალი სურსათ-სანოვაგე, დროშები, ალმები, ტრანსპარანტები, ფერადი ბუშტები – გამარჯვების შემდეგ ცხინვალში გრანდიოზული ზეიმი უნდა გამართულიყო ძლევამოსილი მთავარსარდლის, საქართველოს განმათავისუფლებელი გმირის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით.**

რუსმა სამშვიდობოებმა პირობა შეასრულეს – ცხინვალი დატოვეს, რის შემდეგაც ქართულმა ჯარმა უბრძოლველად დაიკავა ქალაქი, რომელიც თითქმის ცარიელი იყო – როგორც ჩანს, ვიღაცამ გააფრთხილა მოსახლეობა, რომ რაღაც დიდი ავანტურა მზადდებოდა და მოქალაქეები მოსალოდნელ უბედურებას დროულად გაერიდნენ.

ოსები უკმაყოფილებას არ მალავდნენ – ისინი თვლიდნენ, რომ რუსებმა უღალატეს და მარტო შეატოვეს შურისძიებისთვის შემართულ ქართველებს.

ქართული ჯარი ცხინვალში შევიდა, თუმცა ცოტა ხანში მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა – სულ მალე რუსული სამხედრო შენაერთები გამოჩნდნენ და სადღაც დაკარგული რუსი სამშვიდობოებიც უკან შემოტრიალდნენ.

ქართული ჯარი, ფაქტობრივად, ხაფანგში მოექცა...

აი, ამ ამბავს ხომ არ გულისხმობს ბატონი სააკაშვილი, როცა პროვოკაციაზე წამოგებაზე საუბრობს?

როგორი კრეტინი, როგორი იდიოტი და სულელი უნდა იყო, როგორ არ უნდა გიყვარდეს და იმ დონეზე როგორ უნდა გეკიდოს ფეხებზე ქვეყანა, მსგავს იაფფასიან ავანტურაში გააყოფინო თავი და იმაზე არ იფიქრო, რას რა შეიძლება მოჰყვეს?

როგორც ამბობენ, სააკაშვილი მარტო არ მოქმედებდა, ეს ყველაფერი სახელისუფლო გუნდის „ვერხუშკასთან“ იყო შეთანხმებული, ანუ მხოლოდ ერთ კრეტინს და იდიოტს კი არ მიუღია ეს გადაწყვეტილება, კრეტინების და იდიოტების მთელმა გუნდმა მიიღო.

ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც დღეს ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების საფლავებზე და მრისხანედ შემართული მუშტებით ოკუპაციას აპროტესტებენ.

კი, მაგრამ, თქვენ თვითონ არ ხართ ამ ოკუპაციის თანაავტორები და ოკუპანტების ბიზნესპარტნიორები?

თქვენ არ ხართ ის ადამიანები, რომლებმაც აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე ახალი „სამხრეთ ოსეთი“ რომ შექმენით, შიგ ახალგორი და ქართველებით დასახლებული ქართული სოფლები რომ შეტენეთ, კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვით, ყველაფერი ეს იურიდიულად და სამართლებრივად რომ გააფორმეთ და ოს და აფხაზ სეპარატისტებს საქართველოს

პარლამენტის მიერ დამოწმებულ-დაკანონებული დოკუმენტების სახით რომ დაულაგეთ წინ?

რა მნიშვნელობა აქვს, რატომ გააკეთეთ ეს – სიბრიყვის გამო, პარანოიკული ხილვების მოძალების გამო, დიდი ფულის გამო, თუ იმის გამო, რომ თქვენი სულმდაბლური და მოღალატური ბუნების წყალობით ჩუმად და მალულად მუდამ იმათ ემსახურებოდით, ვისაც ვითომ ებრძოდით?

რაც თქვენ გააკეთეთ, „ნაციონალებო“, სამშობლოს ღალატია ეს და, წესით და რიგით, ბევრი თქვენგანი, თქვენი ბელადის მეთაურობით, ზუსტად ამ ბრდალდებით უნდა იხდიდეს სასჯელს, თქვენ კი კვლავ პარლამენტში ზიხართ, სახელმწიფო სტრუქტურებში მიძვრებით, ქართველ ხალხს ახალ-ახალი დაპირებებით შრეცხავთ ტვინს და, რაც მთავარია, იმდენად უტიფრები და სინდისგარეცხილები ხართ, ყოველივე იმის შემდეგ, რაც გააკეთეთ –კვლავ ხელისუფლებაში აპირებთ დაბრუნებას.

რა იყო, კიდევ დარჩა რაიმე ამ თქვენგან გაუბედურებულ ქვეყანაში გასაფუჭებელი, გასათახსირებელი, გადასაფორმებელი და ამიტომ ცდილობთ უკან მობრუნებას?

რამდენადაც ვიცი, „ნაცმოძრაობის“ ელიტა ჯერ კიდევ 2006 წლის ბოლოს აპირებდა იგივეს გაკეთებას, რაც 2008 წლის აგვისტოში გააკეთა. ისინი მთელი სერიოზულობით ამტკიცებდნენ, რომ რუსი სამშვიდობოები, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, მზად იყვნენ, ცხინვალი დაეთმოთ.

მაშინ ერთი ჭკვიანი და გონიერი ადამიანის ჩარევით შესაძლებელი გახდა ამ ავანტურისტების შეჩერება და დიდი კატასტროფის თავიდან აცილება, თუმცა 2008 წელს, როცა „ნაცმოძრაობას“ ძალაუფლება უკვე თავში ჰქონდა ავარდნილი და ცა ქუდად არ მიჩნდა და დედამიწა ქალამნად, მათი დაოკება ვერავინ შეძლო და მათ შორის ვერ შეძლეს ამერიკელებმაც, რომლებიც, თუ მათ გულწრფელობაში ეჭვს არ შევიტანთ, „ნაციონალებს“ აფრთხილებდნენ, რომ რუსებთან საომარ კონფლიქტში არ შესულიყვნენ.

რადგან ამერიკელებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა 2008 წელის აგვისტოს ავანტურით თუ ვინმეს ინტერესები დააზიანეს და დააზარალეს, პირველყოვლისა, დააზიანეს და დააზარალეს ამერიკელების ინტერესები, პარალელურად კი ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ამ რეგიონში რუსეთის პოზიციები კიდევ უფრო განმტკიცებულიყო და გამყარებულიყო.

ყოველივე ამის შემდეგ ძალიან მიკვირს ის ლოიალური დამოკიდებულება, რასაც ამერიკელები და ევროპელები დღემდე ინარჩუნებენ ათასი უბედურების ჩამდენი ნაციონალების მიმართ.

●

საბჭოთა პოლიტიკის ძუძუთი გაზრდილი, კრემლის ლაბირინთებში დაფრთიანებულ-დავაჟკაცებული ბატონი გრიშა, რომელიც, საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო, ახლაც იქ, მოსკოვში, იქნებოდა და რუსულ საქმეს პატიოსნად მოემსახურებოდა, აი, ასეთი და ამნაირი წარმოშობის ბატონი გრიშა, იგივე გრიგოლ ვაშაძე, რომელიც ქართულს დღემდე რუსული აქცენტით ლაპარაკობს, ახლა ქართველი პატრიოტი გამხდარა და „ქართულ ოცნებას“ ნოტაციებს უკითხავს.

ბატონი გრიშას აზრით, იმის თქმა, რომ ეს ოკუპაცია დღეს არ დაწყებულა და ის მდგომარეობა, რაც დღეს არსებობს, „ნაციონალური მოძრაობის“ უგუნური და წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგიცაა, თურმე დიდი მკრეხელობაა და საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს დიდ ზიანს აყენებს.

– რა გინდათ თქვენ თქვათ? ომი საქართველომ დაიწყოო, ამის თქმა გინდათ? – ბობოქრობს ბატონი გრიშა, რომელიც თავისი ულვაშებით და ზოგადად, თავისი ჰაბიტუსით, რატომღაც ძალიან ჰგავს კაზაკების ატამანს.

„ნაციონალების“ მიერ თავისი ოპონენტების გასაჩუმებლად გამოყენებული ეს ფანდი, ეს ხრიკი დღემდე წარმატებით მოქმედებს – თუ ვინმე იტყვის, რომ ომი სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ დაიწყო, ეს თურმე იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ომი საქართველოს დაუწყია, ამის თქმა კი საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ წასვლა და საქართველოს ღალატია.

ცხადია, არავის არ სურს ქვეყნის მოღალატის სახელი ერქვას და „ნაციონალების“ კონტრარგუმენტების შემდეგ თითქმის ყველა ჩუმდება.

აი, ამგვარი ფლიდური ხერხებით ცდილობენ ნაციონალები ოპონენტების განიარაღებას და გაჩუმებას.

ეფარებიან რა საქართველოს სახელს, აიგივებენ რა საკუთარ თავს საქართველოსთან, „ნაციონალები“ ამით საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებების მიჩქმალვას და ამ ქმედებებისთვის ტაბუს დადებას ცდილობენ.

რა თქმა უნდა, ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვები რუსულმა მხარემ დაიწყო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ომი. ომად ის მაშინ იქცა, როცა მთავარსარდალმა სააკაშვილმა ტელევიზიით ოფიციალურად განაცხადა, რომ ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების მიზნით ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს იწყებდა და ბრძანება გასცა, ქართული სამხედრო შენაერთები ცხინვალისკენ დაძრულიყვნენ.

– **Это уже война!** – გახარებულმა და კმაყოფილმა წამოიძახა რუსმა გენერალმა სააკაშვილის ამ ბრძანების მოსმენის შემდეგ,

ცხადია, ყოველივე ამის ამსახველი და დამადასტურებელი სატელევიზიო კადრების ჩანაწერები არსებობს.

ჰოდა, გადაახვიეთ, ბატონო გრიშა და თქვენს „ნაციონალ“ მეგობრებთან ერთად უყურეთ!

თავს რას ისულელებთ, ან ჩვენ რას გვასულელებთ – გადაახვიეთ და უყურეთ!

ერთი ნახვით თუ ვერაფერს გაიგებთ, კიდევ გადაახვიეთ და კიდევ უყურეთ, საქართველოს კი თავი დაანებეთ.

ვინ დაიწყო ეს ომი და ვისთან ერთად, თქვენ, ნაციონალებმა“ და თქვენმა ბელადმა შესანიშნავად იცით.

თქვენ ისიც გეცოდინებათ, ბატონო გრიშა, სად წავიდა ის 4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც საქართველომ დახმარების სახით მიიღო.

ვიცით, რომ ნაწილი ამ თანხისა, იმ ქოხების აშენებას მოხმარდა, რომლებშიც დევნილები შეასახლეს, ნაწილი კომპენსაციის სახით დარიგდა, მაგრამ დანარჩენი თანხა სად წავიდა და რამდენია ეს დანარჩენი თანხა – ერთი მილიარდი? ორი მილიარდი? სამი მილიარდი?

ვის ჯიბეებში დაილექა ეს მილიარდები – ქართველთა სისხლის ფასად, ქართველი ჯარისკაცებს სიცოცხლის ფასად, ათიათასობით ქართული ოჯახის უბედურების და ტრაგედიის ფასად ნაშოვნი მილიარდები?

„ნაციონალები“ უკიდურესად ღიზიანდებიან, როცა 2008 წლის აგვისტოს ომის და იმ მოვლენების შესახებ საუბარი, რომლებიც ამ ომს წინ უძღოდა, იმ სტერეოტიპული კლიშეებით და იმ კალაპოტით არ მიდის, რომლებიც მათ დაამკვიდრეს.

მათ ხელს არ აძლევთ ამ ტრაგიკული მოვლენების პი-

6 გვ.

დიდი ღალატის ანატომია

← 5 გვ.

რუთვნელი და მიუკერძოებელი ანალიზი, არა იმიტომ, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს სახელს უფრთხილდებიან, არამედ იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა, საკუთარი თავი ედარდებათ, რადგან იციან, ამგვარი დეტალური ანალიზის შემთხვევაში აუცილებლად გამოიჩხრიკება ის ცოდვები და ის დანაშაულობანი, რომლებიც მათ ქართველი ხალხის წინაშე ჩაიდინეს.

რუსეთისთვის ოკუპანტის დამახებას, როცა საერთაშორისო თანამეგობრობის ფართო ზურგს ხარ ამოფარებული, დიდი ვაჟკაცობა და დიდი გამბედაობა არ სჭირდება.

რუსეთთან მიმართებაში ყველაფერი ნათელია, ყველაფერი ცხადია, რუსეთის ქმედებების შესახებ ყველაფერი ვიცით, მაგრამ თითქმის არაფერი ვიცით რუსულ-ქართულ დაპირამ რას ცუღლუტობდა იგივე სააკაშვილი, როცა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას ქმნიდა და კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევდა, არ ვიცით!

კი, მაგრამ, არ უნდა ვიცოდეთ?

და თუ არ უნდა ვიცოდეთ, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რატომ არ უნდა ვიცოდეთ?

●

ამ წერილს რომ ვწერდი, სულ იმაზე ვფიქრობდი, რატომ ჰგავს ასე ძალიან 2008 წლის აგვისტოს ამბები გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში მომხდარ ამბებს?

თითქოს რაღაც ერთი საერთო სცენარით გადაღებული ორი ფილმია, ერთი და იგივე კადრებით, ერთი და იგივე სიუჟეტური ქარგით, ერთი და იგივე ფინალით.

მაშინაც ტანკებით შევიდა კიტოვანი აფხაზეთში, „კონსტიტუციური წესრიგის" დატორიების 20%-ის დაკარგვა, 400 000-მდე ადამიანის დევნილად ქცევა, ქვეყნის პარტახი და ნგრევა მოჰყვა, მაშინ თუ ღირსების გრძნობა გაქვს, თუ სინდისი გაქვს, ან შუბლში ტყვია უნდა იკრა, ან სადმე ბნელ სენაკში უნდა განმარტოვდე და დარჩენილი სიცოცხლე ლოცვასა და პატიების თხოვნაში უნდა გაატარო.

პროვოკაციაზე წამოგების შემდეგ შევარდნაძემ კიდევ ათი წელი ისე „იმეფა", თითქოს არც არაფერი მომხდარა, ასევე პროვოკაციაზე წამონაგები სააკაშვილი ხუთი წელი მართავდა ქვეყანას და, ალბათ, ერთი ოცი წელი კიდევ იქნებოდა ხელისუფლების სათავეში, ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო.

არც შევარდნაძეს და არც სააკაშვილს არასოდეს არ დაუდანაშაულებიათ საკუთარი თავი და არასოდეს არ დასცდენიათ სინანულის სიტყვა,

რომ მათი წინდაუხედაობის და პოლიტიკური დოყლაპიობის გამო ასეთი უზარმაზარი მასშტაბების ტრაგედია დაატყდა თავს ქვეყანას.

დავით აღმაშენებელმა, ამ მართლაც ქვეყნის აღმაშენებელმა მეფემ, „გალობანი სინანულისანი" დაწერა, ამათ კი, ამ ქვეყნის დამაქცევრებს, არაფერი უნანიათ.

●

ამ წერილს ვუძღვნი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ნათელ ხსოვნას.

ისინი არც შევარდნაძისთვის დაღუპულან და არც სააკაშვილისთვის, მათ სამშობლოს შესწირეს სიცოცხლე.

ისინი ნამდვილი გმირები არიან...

ამ წერილს ვუძღვნი ყველა დევნილს აფხაზეთიდან, ცხინვალიდან, ახალგორიდან, სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან.

ისინიც გმირები არიან, ოღონდ მათმა სამშობლომ, საქართველომ, ეს ჯერ კიდევ არ იცის და ამ ადამიანებს ისე ექცევა, როგორც აბეზარ მასას, რომელიც თავისი გაჭირვებით, თავისი პრობლემებით შენს მშვიდ და ბედნიერ ყოფას დისკომფორტს უქმნის.

არადა, როგორც ვთქვი, ისინიც გმირები არიან, რომლებიც თავიანთ მძიმე ჯვართან ერთად ჩვენს წილ ჯვარსაც მიეზიდებიან და მიეზიდებიან უხმოდ და დაუყვედრებლად...

დიდი მადლობა მათ ამისთვის...

რისპირებაში რა როლს თამაშობდა „ნაცმოძრაობის" ხელისუფლება და მისი ლიდერი?

როგორც ზემოთ ვთქვით, დაუდგენელი და შეუსწავლელია ისიც, თუ რატომ ასხამდა წყალს რუსეთის წისქვილზე თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რასაც „ნაცმოძრაობის" ხელისუფლება და მისი თავკაცი იღებდა?

–მიხეილ სააკაშვილი სამხედრო დამნაშავე და სამშობლოს მოღალატეა! – მსგავსი შეფასება ბევრჯერ გაჟღერებულა მავანთა და მავანთაგან, თუმცა ამ შეფასებებს რეაგირება არ მოჰყოლია.

რას ცუღლუტობდა და ქვეყნის ბიუჯეტიდან რამდენს ახარჯავდა ბატონი სააკაშვილი დოქტორ დოტის და უფრო იაფფასიან დოტებს, ვიცით, მაგსამჟარებლად, რაც სრულიად საკმარისი საბაბი იყო ომის დაწყებისთვის.

13 თვე და 13 დღე გასტანა ქართველთა მედგარმა წინააღმდეგობამ, სანამ ქართველები მოტყუებით არ განაიარაღეს...

შევარდნაძეც სააკაშვილივით იფიცებოდა მაშინ, პროვოკაციაზე წამომაგეს, შეცდომაში შემიყვანეს, სიტყვა გატეხესო.

გასაკვირი არ არის, როგორ ერთნაირად, მიამიტი და ცოტათი ჭკუანაკლული ბავშვებივით წამოეგნენ ჩვენი ქვეყნის პირველი პირები ძალიან მარტივად ამოსახსნელ და მისახვედრ პროვოკაციებს?

დავუშვათ და მართლა შეცდომაში შეეიყვანეს და პროვოკაციაზე წამოგაგეს, რომელსაც ათიათასობით უდანაშაულო ადამიანის მსვერპლი, ტერი-

ვაჟა კაკაბაძე:

იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობის გამოსწორებაზე ვიფიქროთ, იმ მიწებს ვყიდით, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ძლივს გამოისყიდა

2017 წლის 4 ივლისს პროფესორმა ვაჟა კაკაბაძემ საქართველოს კულტურის სამინისტროს წერილით მიმართა და ერთ-ერთი მონასტრის კედელზე სავაჭრო ობიექტის მიშენების შესახებ აცნობა. წერილს ოფიციალური სტრუქტურების მხრიდან სწრაფი რეგირება მოჰყვა და სავაჭრო ობიექტი დაიხურა, თუმცა, მომხდარის გამო, საზოგადოებაში ვნებათაღელვა დიდხანს არ დამცხრალა. „საერთო გაზეთს“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ვაჟა კაკაბაძე** ესაუბრა:

— როგორც მახსოვს, თქვენს წინა მოწოდებაზე — დაეხურათ ერთ-ერთი მონასტრისთვის მიშენებული სავაჭრო ობიექტი, ხელისუფლების მყისიერი რეაქცია მოჰყვა.

— დიახ, მე ნამდვილად გავაპროტესტე ერთ-ერთ მონასტერთან სავაჭრო ობიექტის მიშენების ფაქტი და ძეგლთა დაცვის სააგენტოს წერილით მივმართე. საბედნიეროდ, ობიექტი დაიხურა, მაგრამ ამ შემთხვევას საზოგადოების ნაწილში არაჯანსაღი რეაქცია მოჰყვა. ზოგიერთებმა ეკლესიის მსახურები უდიერად მოიხსენიეს, რაც არასწორად და მიუღებლად მიმაჩნია. მე ვიცი, რომ ეს მონასტერი მომართულია ქართული საქმისათვის. ამიტომ მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით, მის წინამძღვარს, რომელიც მომხდარის გამო ძალიან შეწუხდა, ბოდიში მოვუხადო, თუმცა ეს შემთხვევა ჩემი სტუდენტებისთვის და არა მარტო მათთვის, ნათელი მაგალითია, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

— მოგვიანებით გაირკვა, რომ მონასტრისთვის ამჟამად გაუქმებული მაღაზია უცხოელებს არ მიუშენებიათ, თუმცა ყველამ ვიცით, რომ საზოგადოების ნაწილი უცხოური ინვესტორების გამოჩენას მხოლოდ ეკლესია-მონასტრების სიახლოვეს არ აპროტესტებს..

- როგორც ეკონომისტი, გეტყვით, რომ „ჩაკეტილი ეკონომიკა“ იწვევს ქვეყნის იზოლაციას, რაც დამღუპველია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. სანამ ქვეყნის დაპყრობას გადაწყვეტს, აგრესორი ყოველთვის ფიქრობს, ვის შეიძლება ჰქონდეს ამ ქვეყანაში ბიზნეს-ინტერესი და ვის შეიძლება დაუპირისპირდეს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა, საფრანგეთს, რომელიც საქართველოზე ტერიტორიულად ათჯერ უფრო დიდი და ეკონომიკური თვალსაზრისით, მილიონჯერ უფრო განვითარებული ქვეყანაა, უცხოურ ინვესტიციებზე გარკვეული ქვოტა აქვს დაწესებული. თუ ასეა, ჩვენ რატომ არ უნდა დავაწესოთ გარკვეული შეზღუდვა? შემოვიდეს თურქი იქნება თუ არაბი, მაგრამ ნორმა უნდა იყოს განსაზღვრული.

— აღმაშენებლის გამზირზე ჩატარებულმა მარშმა დაგვანახა, რომ საზოგადოების ნაწილს სწორედ თურქი და არაბი ინვესტორების შემოსვლა აღიზიანებს. შესაძლოა, ამის მიზეზი მათი ღამის ბარების საეჭვო საქმიანობა იყოს, შესაძლოა, აჭარის მიმართ მზარდი ინტერესები და ბათუმთან დაკავშირებით, თურქეთის პრეზიდენტის ორაზროვანი განცხადებები..

— მე არ ვიცი ვის რა ინტერესები აქვს აჭარის მიმართ, თუმცა, ვიცი, რომ თურქეთს მიტაცებული აქვს ძირძველი ქართული მიწები — ართვინის, არტაანისა და ოლთისის ოლქები, სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის ისტორიული რაიონები — პარხალი, სპერი (ტაოკლარჯეთი), სულ 12 ათას კვ.კმ-ზე მეტი ფართობი. ამ ტერიტორიებზე არსებული ტაძრების უმეტესობა მეჩეთებად გადააკეთეს. საბჭოთა კავშირმა, სტალინის ხელმძღვანელობით, თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები დიდი სამამულო ომის ბოლო თვეებში წაუყენა. სსრკ ითხოვდა 1878 წელს რუსეთის იმპერიაში შემავალი ტერიტორიების დაბრუნებას, რომლებიც, საბჭოეთის ხელმძღვანელების აზრით, 1921 წელს უსამართლოდ გადაეცა თურქეთს. მამის, პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ კაკაბაძის მონაყოლით ვიცი, რომ საბჭოთა არმია ელოდებოდა ბრძანებას, რომ თურქეთის საზღვარი გადაელახა და საქართველოს ყოფილი ტერიტორიები დაეკავებინა.

შემდეგ პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, სტალინი გარდაიცვალა და ეს საქმე ყველას მიავიწყდა, არადა არსებობს შეთანხმება, რომელიც შეიძლება მოვიძიოთ. სტალინის პოლოგეტი არ გახლავართ, უფრო პირიქით, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, რომლისთვისაც სტალინი დიდხანს ემზადებოდა.

— რადგან სტალინი ახსენეთ, მისი ნარკოპოლიტიკის შესახებაც გკითხავთ. დღეს ბევრს კამათობენ იმაზე, უნდა მოხდეს თუ არა ნარკოტიკების ლეგალიზაცია. ალბათ იცით, რომ სტალინმა, რომელსაც ლიბერალობას ნამდვილად ვერ დავწამებთ, ნარკომანია პოლიკლინიკებში ნარკოტიკების თავისუფალი დარიგებით მოსპო..

— სტალინმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ ეს ხალხი ერთხელ და სამუდამოდ მოესპო. ეს იყო არაკონტროლირებადი ძალა, რომელსაც შეეძლო ბევრი ცუდის გაკეთება, ამიტომ სტალინმა მისცა მათ მორფი და „კისერი გიტეხიათო“ უთხრა. ამით „ორ კურდღელს იჭერდა“ — ნარკომანების რაოდენობას აკონტროლებდა და ნელ-ნელა სპობდა. ცნობისთვის, ამ ვითომ ლიბერალურ ნარკოპოლიტიკას 100 000-ობით ნარკომანი გადაჰყვა. სტალინი ძლიერი პიროვნება იყო და ამგვარი ადამიანების მიმართ, ჰუმანური გრძნობები არ ამოძრავებდა, თუმცა ჰიტლერისა და იაპონლების მსგავსად, მორფინისტები გემებზე არ შეუყრია და ზღვაში არ ჩაუძირავს. პატრიარქმა, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, ბრძანა, რომ ნარკომანები ავადმყოფები არიან და უნდა შევიცოდოთ. დიახ, ეს ავადმყოფობაა, მაგრამ სანამ ავადმყოფი გახდებოდა, ხომ ჯანმრთელი იყო? ანუ ეს მისი შეგნებული არჩევანია! ეს არის ფსიქიური გადახრა, რომელიც მხოლოდ ინდივიდის კი არა ერისთვის ძალიან დიდი საფრთხის შემცველია. სპარსელებიც კი არ აძლევდნენ 20 წელს მიუღწეველ ახალგაზრდას უფლებას, რომ ჰაშიში მოეწია. აქ კი ეს ნორმაც არ არის დაცული. ლოთს რაღაცას გააგებინებ, მეძავს გააგებინებ, მაგრამ ნარკომანს ვერა, რადგან წამლის ყოველი გაკეთების შემდეგ, მისი ტვინის უჯრედები კვდება და წამალზე დამოკიდებული ხდება. სასაცილო მდგომარეობაში ვიგდებთ თავს, როცა კაფეებში სიგარეტის მოწევას ვკრძალავთ და ნარკოტიკების ლეგალიზებას ვაპირებთ. მე თვალწინ დამეღუპა მეგობარი, რომელიც უნიჭიერესი ადამიანი იყო და საოცარი მომავალი ჰქონდა. მას ნარკოტიკების მოხმარების გამო, ორგანოების გადაგვარება დაემართა და სრულიად ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა. ამიტომ ყველამ მაპატიოს, მაგრამ ამ საკითხში ძალიან რადიკალური ვარ. მე რომ მკითხოთ, ის ხალხი, ვინც ამას ლობირებს, ყველა დასაჭერია. ასე, რომ სისულელეებზე ფიქრის ნაცვლად, ჯობს ეროვნული საქმე ვაკეთოთ. ქართველი მეფეები იძულებული იყვნენ ირანის შაჰებს ხლებოდნენ და მუსულმანური სარწმუნოება მიეღოთ, მაგრამ იგივე რომ გლეხს გაეკეთებინა, სიკვდილით დასჯიდნენ. მე, ვაჟა კაკაბაძეს შემიძლია და უნდა ვთქვა, რომ რუსეთი თავისი მდიდარი კულტურის მიუხედავად, ჩვენი მტერია, მაგრამ სახელმწიფომ სახელმწიფოებრივი საქმე უნდა აკეთოს. რუსეთსაც უნდა ეფეროს, შეერთებულ შტატებსაც და თურქეთსაც, რადგან სწორედ ეს არის დიპლომატიის არსი.

სწორედ ახლა ვწერ წიგნს აფხაზეთის ომის შესახებ და მასალებზე მუშაობისას, არაჩვეულებრივი რამ ამოვიკითხე: რუსეთი უკვე სამხედრო ინტერვენციის ნაცვლად, ქვეყნის დაპყრობისთვის უფრო ძლიერ იარაღს იყენებს, რასაც სხვადასხვა სახელმწიფოში მართვადი კრიმინალური ჯგუფების შექმნა და კაპიტალის ხელში ჩაგდება ქვია. ჩვენი კაპიტალის 65—70% უკვე რუსეთის ხელშია, რაც მხოლოდ ჩვენი უგუნურობის, სიხარბის და გაუმაძღრობის ბრალია. იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობის გამოსწორებაზე ვიფიქროთ, იმ მიწებს ვყიდით, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ძლივს გამოისყიდა.

ნელი თორდია
571 35 36 88

გონიოში „ჩინგიზ ხანის“ ბატონობა გრძელდება!

გარკვეული ხნის წინ ბათუმის გარეუბანი, კურორტი გონიო იმ კურორტების ჩამონათვალში მოხვდა, რომლებიც გამორჩეულნი არიან პროფილაქტიკურ-კარდიოლოგიური კუთხით.

წყნარი კურორტია გონიო. თუმცა ამ სიმყუდროვეს ამ სეზონზე სამშენებლო მანქანების ზუზუნი არღვევს.

ზღვის ნაპირთან სულ ახლოს, რამდენიმე მეტრში, უზარმაზარი მშენებლობა მიმდინარეობს.

— რას აშენებთ? — ვეკითხები მუშას.

— სასტუმროს.

— ვინ აშენებს?

— თენგიზ ბაკურიძე, — მპასუხობს და ოფლით გახვითქული ცემენტს ზელს.

ლევან ვარშალომიძე

* * *

გონიოში ზღვის ნაპირას თორმეტსართულიანი ორი კორპუსი შენდება, რომლებიც, როგორც ამბობენ, სასტუმროებისთვისაა განკუთვნილი.

მშენებლობას აწარმოებს ფირმა, რომელსაც, როგორც მითხრეს, ერთ ლარად გადასცემია ეს ტერიტორია 2012 წლის ივლისში, რითაც მესაკუთრეს დაკისრებია ვალდებულება, დათქმულ ვადებში შეესრულებინა 1 ლარად მიყიდვისას გათვალისწინებული პირობები.

მალე კომპანია პირობების შეუსრულებლობის გამო დაჯარიმდა.

2016 წლის აგვისტოში საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ **თენგიზ ბაკურიძის** შვილის **ლევან ბაკურიძის** კომპანია „ბიჯი თრეიდისადმი“ აჭარის მთავრობამ გულმოწყალება გამოიჩინა და იგი დაკისრებული ჯარიმებისგან გაათავისუფლა. კომპანიას ჯარიმა მერიასთან სასტუმროს პროექტის შეუთანხმებლობის და მშენებლობის ნებართვის მიუღებლობის გამო ეკისრებოდაო...

საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, აგრეთვე, რომ „ბიჯი თრეიდს“ გონიოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მინიმუმ 30 ნომერზე გათვლილი სასტუმრო უნდა აეშენებინა.

ინვესტორს 1 743 547,14 ლარის ჯარიმა ეკისრებოდა. აჭარის ახლადანიშნულმა მთავრობამ **ზურაბ პატარაძის** მეთაურობით, ინვესტორის მდგომარეობა „გაითვალისწინა“ და მისი ჯარიმისგან გათავისუფლება გადაწყვიტაო...

იქვე მითითებული იყო: ინვესტორი მზადაა პროექტში უფრო მეტი ინვესტიცია ჩადოს — 1 მლნ ლარის ნაცვლად 2,5 მლნ ლარიო.

როგორც ჩანს, ბაკურიძემ გადალახა ბიუროკრატიული და პიროვნული ბარიერები, უგულებელყო გონიოელ მეთევზეთა ლეგიტიმური თხოვნა — არ გაგვიუქმოთ სათევზაო ადგილები, ნუ დაგვანგრევინებთ თევზის რეწვისთვის აშენებულ 20-მდე კაპიტალურ შენობასო. არ ილო ყურად „ბიჯი თრეიდის“ ხელმძღვანელობამ მეთევზეთა თხოვნა, დაუნგრიეს შენობები, მოუსპეს თევზჭერისა და რეწვის ისტორიული შესაძლებლობა და ერთი კაცის სარგებლობისთვის, მთელი ძალით და დიდი მადით გაიშალა მშენებლობა გონიოში, 30 კი არა, სავარაუდოდ, 300 ნომერზე გათვლილი ორი კორპუსისა, ზღვიდან სულ რამდენიმე მეტრში, სადაც, პერსპექტივაში დაგეგმილია ბათუმის ბულვარის გაგრძელება.

გონიოს მცხოვრებლები აღშფოთებულნი არიან, ვის არ მივმართეთ, მაგრამ ბაკურიძე მაინც ჯიუტად აშენებს სახლს გონიოშიო.

შოთა ჯიბლაძე, გონიოს მკვიდრი: თენგიზ ბაკურიძე და აჭარის ნაციონალი მმართველი **ლევან ვარშალომიძე** დიდი ხანია „მეგობრობენ“. „ნაცმოძრაობასაც“ აქტიურად უჭერდა მხარს თენგიზი.

ექნებოდა „დამსახურება“, თორემ ისე, უბრალოდ, არ აჩუქებდნენ ამხელა ტერიტორიას. ამბობენ, ამ ერთი ლარის უკან დიდძალი თანხა იმალება, ბაკურიძეს ვარშალომიძისთვის დოლარების დასტა აქვს, სავარაუდოდ, ნაბოძებიო.

ბათუმში ყველას ახსოვს, სად მდებარეობდა ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „დომ ბიტა“. ეს შენობა და ტერიტორია, ალბათ, 6–7 მლნ-ის საფასურის იქნებოდა. **ლევან ვარშალომიძემ** ბაკურიძეს იგი 600 000 ლარად მიჰყიდა, მაგრამ მალე თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და ბაკურიძეს 1 ლარად აჩუქა ეს ქონება.

როდესაც მშენებლობა წამოიწყეს ჩემი ეზოს ბოლოში, რითაც, ფაქტობრივად, ზღვისკენ გასასვლელი გზა მეკეტება, შევხვდი თენგიზ ბაკურიძეს. კარგად ვიცნობდი მას და არ გამჭირვებია პირდაპირ მეთქვა, რადგან არ ითვალისწინებდა მეთევზეთა ინტერესებს, ასევე ჩვენი, გონიოს მაცხოვრებლების საფუძვლიან პრეტენზიას, ამ მშენებლობით გვიკეტავდა გზას ზღვისკენ და ჩვენს კერძო ბიზნესს — საკურორტო სეზონზე ტურისტების მოზიდვის შესაძლებლობას გვისპობდა, დავპირდი: არ გავჩერდები, ვიბრძოლებ, რომ ამ ტერიტორიაზე შენ შენობა ვერ ააშენო-მეთქი, მაგრამ მერე, ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, ვიფიქრე: ესენი უკანონობას არ დაუშვებენ, საკურორტო ზონაში, ბულვარის ტერიტორიაზე 12-სართულიანი სახლის მშენებლობას არ დააწყებინებენ არავის, შევიტან განცხადებას ეკონომიკის სამინისტროში, აჭარის მთავრობაში, გაარკვიონ, რის ფასად დააჯილდოვა ნაციონალურმა მთავრობამ ბაკურიძე ამხელა პრივილეგიებითა და ქონებით არჩევნებამდე ორი თვით ადრე, მაშინ, როცა „ნაცმოძრაობას“ ფული ძალიან სჭირდებოდა. საეჭვოდ ხომ არ მიგაჩნიათ, 1 ლარად მისცეს მართლა ეს ქონება თუ კორუფციულ გარიგებას ჰქონდა ადგილი-მეთქი. ამ მიზნით სხვადასხვა დროს მივმართე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს პროკურორს, სახალხო დამცველს, პრემიერ-მინისტრს, თვით პრეზიდენტსაც კი. დოკუმენტაციამ „იარა, იარა“ და აჭარის ფინანსთა რეგიონულ სამსახურს გადმოეცა. აღიძრა საქმე, თუმცა დღემდე „აღძრულია“ და მეტი არაფერი. ბაკურიძეს კბილებით იცავს აჭარის მთავრობა და აჭარის ეკონომიკის სამინისტრო.

ჯერ კიდევ 2013 წელს გონიოს 60-70 მაცხოვრებელმა განცხადებით მივმართეთ ქალაქ ბათუმის მერიას — ვთხოვდით: არ მიეცათ „ბიჯი თრეიდისთვის“ მშენებლობის უფლება. მერიამ ჩვენი განცხადებების საფუძველზე სამჯერ უთხრა უარი მშენებლობის გაცემის თაობაზე, მაგრამ 2017 წლის 24 თებერვალს, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მერიამ ბაკურიძეს მშენებლობის უფლება მისცა, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული სასამართლო პროცესი „ბიჯი თრეიდის“ სარჩელზე მერიის წინააღმდეგ სამჯერ გაცემული უარის გამო. უარის შემდეგ გარემოებები არ შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე და მის მიერ გამოცემული ბრძანებულების თანახმად, ნიადაგი მომზადდა „ბიჯი თრეიდისთვის“ მშენებლობის განსახორციელებლად.



შოთა ჯიბლაძე

— ბატონო შოთა, როგორ ფიქრობთ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო აჭარის მთავრობისგან ასეთი ლოიალობის გამოჩენის მიზეზი?

— ნეპოტიზმი, ჩემო ბატონო. **ზურაბ პატარაძის** მეუღლე ბაკურიძეა, როცა პატარაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა, ბათუმში საცხოვრებელ რეზიდენციას ურემონტებდნენ, მთელი ის დრო პატარაძე სიმამრთან **თემურ ბაკურიძესთან** ცხოვრობდა, ანუ კარგა ხნის განმავლობაში ბაკურიძეების გარემოცვაში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, მიაღებინეს კერძო ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის, ჩემი მეზობლებისთვის და საერთოდ, გონიოს მაცხოვრებლებისთვის არახელსაყრელი მშენებლობა მიმდინარეობს, პირადად მე მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან არ გამოვდივარ, ამ მშენებლობით ბათუმის ბულვარი მახინჯდება, აქ ორი 12-სართულიანი შენობა თუ აიგო, ბულვარი აღარ იქნება ბულვარი, კორპუსები 115 მეტრზე განლაგდება და მონსტრივით დაადგება პლაჟს. ერთი ასეთი შენობით უკვე აქვს „დამშვენებული“ ბაკურიძეს გონიოს ზღვის ნაპირი“.

* * *

აქ მშენებარე შენობის სართულიანობა, როგორც მატყობინებენ, ბათუმის საკრებულოს დაუდგენია და „ბიჯი-თრეიდისთვის“ სპეციალური ზონალური

მშენებარე ტერიტორია

შეთანხმებაც მიუცია. საკრებულოს ერთ-ერთი განკარგულებით, „ბიჯი-თრეიდის“ მიწის ნაკვეთი გამოცხადებულა საზოგადოებრივ-საქმიან ზონად, რადგან ყველა სამშენებლო მოედანი ფუნქციურად არის დატვირთული.

ტერიტორია, რომელზეც „ბიჯი თრეიდი“ მშენებლობას აწარმოებს, საკურორტო ზონის ჩამონათვალში შედის.

შოთა ჯიბლაძე: ვთქვათ, მიენიჭა საზოგადოებრივი საქმიანობისთვის განკუთვნილი ზონის სტატუსი. საქართველოს მთავრობის №59 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ იუწყება, რომ ასეთ ადგილებში უპირატესობა ენიჭება საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობას, ანუ უნდა აშენდეს სასტუმრო, კაფე, რესტორანი და მსგავსი ობიექტები. არ უნდა აიგოს საცხოვრებელი კორპუსი, ხოლო რაც აშენდება,

თენგიზ ბაკურიძე

სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 15 მეტრს. ყველა სხვა მშენებლობა კანონსაწინააღმდეგოა.

ბაკურიძე აქ 40-მეტრიან კომპლექსს აშენებს. მშენებლობაზე კანონშეუსაბამო სპეციალური, ზონალური შეთანხმება, უფლებამოსილების გადაჭარბებით, აქვს გაცემული ბათუმის საკრებულოს ყოფილ ნაციონალ თავმჯდომარეს **გიორგი კირთაძეს**.

— ბატონო შოთა, როგორც ბრძანეთ, განცხადებით მიმართეთ პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს და სხვებს. პასუხები მიიღეთ მათგან?

— საქართველოს მთავრობამ იურიდიული დეპარტამენტის პასუხი გამოგვიგზავნა. იტყობინებოდნენ: განცხადება ეგზავნება აჭარის მთავრობას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და გენპროკურატურასო, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ ჩვენი თხოვნა ყურად არ იღო.

აჭარის პროკურატურის პროკურორის მოადგილემ **ანზორ უსტიაძემ** მითხრა: განცხადებას ობიექტურად შევისწავლით, კანონდარღვევა თუ აღმოვაჩინეთ, მივცემთ სამართლებრივ შეფასებას, ამ პოზიციის მიმართ არაფერი მაქვს საწინააღმდეგოო.

კვირები გადის და ჯერ განცხადებაზე სერიოზული რეაგირება არ ყოფილა.

ვინ არ ჩავაყენე საქმის კურსში, ვის არ მივმართე, თუმცა, ამის მიუხედავად, ირღვევა ჩვენი უფლებები, გონიოს ეკარგება ტურისტული ფუნქცია, ჩაკეტილია ზღვაზე გასასვლელი გზები, შელახულია მეთევზეთა და მეზობელი ნაკვეთების მფლობელთა უფლებები, გამკითხავი კი არავინაა.

— სასამართლოს არ მიმართეთ?

— მიმდინარე წლის 15 მაისს ადმინისტრაციული საჩივრით მივმართეთ ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მაგრამ, როგორც ვატყობ, ჩვენს საჩივარს სანამ სასამართლო განიხილავს, მშენებლობაც დასრულებული იქნება და ბინებიც გაყიდული. ახლახან მეექვსე სართულის მშენებლობა დამთავრდა. სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფა არ დააკმაყოფილა. არ შეაჩერა ადმინისტრაციული აქტების მოქმედება, ანუ არ მიიღო აუცილებელი პრევენციული ზომები ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი ქმედების შესაჩერებლად.

— თქვენი აზრით, რა ხდება, ბატონო შოთა?

— კრიმინალი და ბიზნესი ერთმანეთისგან მოქმედების მეთოდებით განსხვავდება, თორემ საერთო აქვთ ის, რომ ორივე თავის თავზე მუშაობს და ორივე სახიფათოა საზოგადოებისთვის თუ მათი ქმედებები კანონმა არ დაარეგულირა. სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს ბიზნესს, მაგრამ მას კანონის ჩარჩოებში უნდა აქცევდეს, რათა ბიზნესმა მოქალაქეების უფლებები არ შეიწიროს. რაზეც ვისაუბრეთ, ეს ბიზნესი თანამდებობის პირთა ხელშეწყობით კრიმინალურია.

წლევანდელი საკურორტო სეზონი ამ მშენებლობის მიმდებარედ მაცხოვრებლებს თითქმის ჩაგვეშალა, მაგრამ სულ არ აინტერესებს ეს ბაკურიძეს. მისთვის მთავარი თავისი კერძო ბიზნესქმიანობაა.

გონიოს, როგორც საკურორტო ზონის სივრცითი მოწყობის განვითარების გეგმა არ არსებობს და ესენი ლაპარაკობენ ტურიზმის განვითარებაზე?! ეს რომ ჰქონოდათ, 12-სართულიანი შენობის აგების უფლებას კი არ მისცემდნენ კერძო პირს, არამედ, როგორც კანონი ითვალისწინებს — ხუთსართულიანის.

მშენებლობის ნებართვა გაცემულია პატარაძის მოსვლის შემდეგ 2013 წლის ოქტომბერში „ნაცმოძრაობის“ საპრებულოს თავმჯდომარის მიერ, ჩემი ღრმა რწმენით, კორუფციული გარიგების საფუძველზე მიცემული ნებართვის შესაბამისად.

სამწუხარო ისაა, რომ ყოველივე ამას კრიტიკულად არ შეხედა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, რომლის იმედი ყველას გვქონდა.

როდემდე უნდა იყოს ჩაფლული ნეპოტიზმში, კორუფციასა და უსამართლობაში ჩვენი ქვეყანა, როდემდე უნდა იდგეს კანონზე მაღლა ზოგიერთი თანამდებობის პირი?

გაჩერებას არ ვაპირებ. ბოლომდე ვიბრძოლებ, ეს ჩემი კერძო საქმე რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებდი, მაგრამ საკითხი ეხება გონიოს, აჭარას, საქართველოს, ჩვენთან არსებულ უკანონობას, რომელიც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაციონალებმა დაიკანონეს და ახლანდელი მთავრობა გამოსწორებას არ ცდილობს, გვერდს უვლის კანონს „ტურიზმის შესახებ“.

საკურორტო ადგილები ეროვნული სიმდიდრეა.

ეროვნული სიმდიდრე ხელყოფილია გონიოში.“

* * *

ვინ ხელყოფს ეროვნულ სიმდიდრეს, ვინ აწყობს პირად კეთილდღეობას ქვეყნის ინტერესების შელახვის ხარჯზე?

საკითხში გასარკვევად ქალაქ ბათუმის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსს **რამაზ მაჭულაძეს** დავუკავშირდით.

— მოგესალმებით, ბატონო რამაზ. გონიოში კომპანია „ბიჯი თრეიდის“ მიერ კანონდარღვევით მიმდინარე მშენებლობაზე მინდა შკითხვები დაგისვათ.

— ეს საკითხი მე არ მეხება.

— საერთოდ, იცით, რომ ეს მშენებლობა მიმდინარეობს და კანონსაწინააღმდეგოდ შენდება გონიოში 12-სართულიანი კორპუსები?

— კითხვებზე პასუხს თავს არ ვარიდებ, მაგრამ არა ვარ საქმის კურსში“.

ვცადე დაკავშირება ქალაქ ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსთან **ირაკლი ახალაძესთან**, რომელთანაც კომუნიკაცია მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვახერხე. ბატონმა ირაკლიმ ტელეფონს არ უპასუხა.



საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ მინისტრს
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი კობახიძეს

საქართველოს მთავარ პროკურორს
ბატონ ირაკლი შოთაძეს

საქართველოს სახალხო დამცველს
ბ-ნ ლაშა ნარსამიას

ასლი: აბრიეის შეურიგებელი მტკიცების ელჩს საქართველოში
ბატონ ოან ჯელს

გონიოს მეზობლებია კოლექტიური
განცხადება

საკონტაქტო პირი: შოთა ჯიბლაძე
ბათუმი, მელიქიშვილის ქ#66
ტელ: 577-76-95-39

ბატონებო,

[illegible]

1. საქმის არსი

2005 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის #155 სრულიად [illegible] გონიო საკურორტო ადგილების ნუსხაში შეტანილი, პრიორიტეტული და კარგადლიანური ადგილია. ამ ადგილი გონიო-ეკონომიკის ზღვის პირი მიმდებარე იქნა ერთიანად [illegible], [illegible] ეკონომიკურ ზონად, [illegible] „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონისა (მუხლი 4). [illegible] ადგილ [illegible] ტერიტორიებზე [illegible] ინფრასტრუქტურის [illegible] [illegible] (კანონმდებლობა [illegible] (მუხლი 6, პუნქტი 3).

2017 წლის 11 იანვარს [illegible] „ბიჯი თრეიდმა“ [illegible] 2500 კ.მ. [illegible] [illegible] 120 მეტრია [illegible] 21 მეტრი. [illegible] [illegible] 50–60 წლის [illegible] [illegible] [illegible]

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

ხანძარი ბორჯომის ხეობაში ეს იყო ლუსტრაცია იმისა, თუ ვინ ვინ არის...

გვესაუბრება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი ბატონი ДИМИТРИ ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, პარტიამ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატად დაგასახელათ. როგორია თქვენი მიზნები და ამოცანები გამარჯვების შემთხვევაში?

— მოგეხსენებათ, რომ საარჩევნო კამპანიაში გვიან ჩავერთეთ. ამის მიზეზი ის იყო, რომ კოალიციური შეთანხმების გარეშე პარტიული პოზიციების გაჟღერებას არ ვჩქარობდით. გვინდოდა, რომ „პატრიოტთა ალიანსთან“, „ლეიბორისტებთან“, „თავისუფალ საქართველოსთან“ და სხვა პარტიებთან, მჭიდრო კონსულტაციების დონეზე, შეთანხმებისთვის მიგვეღწია, რის მიხედვითაც შევქმნიდით პრეცედენტს — სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან მხარდაჭერილი ყოფილიყო ერთი მერობის კანდიდატი. სამწუხაროდ, შესაბამისი შედეგი ვერ დადგა.

— დღევანდელ საქართველოში რიგით მოქალაქეს საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვს. მაგალითად, მეტი ნაწილი უბინაოდაა დარჩენილი ან ავარიულ სახლებში ცხოვრობს. გამარჯვების შემთხვევაში რა იქნება თქვენი მთავარი პრიორიტეტი?

— პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი ვარ. ორი პარტიის გადაწყვეტილებით მერობის კანდიდატი კახა კუკავა იქნება. როგორც იცით, მე და ბატონ კახას 2013 წლის არჩევნებზე ურთიერთთანამშრომლობისა და ერთად ბრძოლის გარკვეული გამოცდილება გვაქვს. ამჯერად, წარსულის გამოცდილება გავითვალისწინეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება: კახა იყოს მერობის კანდიდატი, მე კი — საკრებულოს თავმჯდომარეობის. 2014 წელს ჩემი პირველი და უმთავრესი პრიორიტეტი იყო თბილისის 900 მილიონიანი ბიუჯეტის ხარჯვის მართლზომიერების კონტროლი. ეს პრიორიტეტი წელსაც რჩება. სამწუხაროდ, თბილისის ბიუჯეტი ამა თუ იმ მმართველი სახელისუფლებო მონსტრისთვის პოლიტიკური მომსახურეობის ბიუჯეტია. ადრეც ვამბობდი, რომ გერმანული გამოცდილების გზით უნდა წავსულიყავით. ეს შემდეგს გულისხმობს: საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის დასაბალანსებლად გერმანული საზოგადოება ყოველთვის ხერხს მიმართავს: ამ პოლიტიკური ძალის ოპონენტს თვითმმართველობის არჩევნებში მხარს უჭერს. „დემოკრატიულ მოძრაობა — თავისუფალ საქართველოს“ ნამდვილად გაგვაჩნია პრეტენზია რეალური ოპოზიცია გვერქვას. ვფიქრობ, ჩემი და ბატონი კახას ტანდემი ობიექტურად დასაბუთებული რეალობის საკმარისი საფუძველია: ჩვენ ვართ ის პოლიტიკური ძალა და კოალიცია, რომლის მხარდაჭერის შემთხვევაში მოგებული მხოლოდ ქართული საზოგადოება დარჩება. თბილისის პრობლემებს შორის, ყოველთვის, ვასახელებდი იმას, რაზეც თქვენ კითხვაში აქცენტი გააკეთეთ — ავარიულ შენობა-ნაგებობებს, ასევე, ერთიანი საკანალიზაციო სისტემის სქემის მომსახურეობის არქონას ქალაქის გენერალური გეგმის განვითარების არარსებობის პირობებში. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი თბილისელებისთვის კომფორტის შექმნა იქნება, რაშიც შედის ეკო-სისტემის გაუმჯობესებაც. თუ გადავხედავთ 60-70-იანი წლების თბილისს, იგი სამჯერ უფრო გამწვანებული იყო. ერთ სულ მოსახლეზე რეკრეაციული ფართი, დაახლოებით, 16–18 კვ.მ-ია 3კვ.მ-ის წინააღმდეგ, რაც თბილისს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ეკოლოგიურად დაბინძურებულ ქალაქად აქცევს. დღემდე „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონის“ გარდამავალი ნორმები, რომელიც საწვავის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას და ევროსტანდარტებზე გადასვლას გულისხმობს, ამოქმედებული არაა.

ასევე, ყურადღება მინდა გავამახვილო შემდეგზე: ტექდათვალიერების მომავალ კრიტერიუმებს შორის ერთ-ერთი უმთავრესია საკითხი, რომლის მოგვარება პერსპექტივაშიც კი არ ჩანს — ეს არის ავტომანქანებისთვის კატალიზატორები, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. მისი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები ჩვენი ელექტრო ქიმიის ინსტიტუტის ბაზაზე უნდა დავნერგოთ და მხოლოდ იმპორტზე დამოკიდებულნი არ ვიყოთ. გარდა ამისა, ვაუჩერიზაციის პრინციპით, თითოეულ მძღოლს უნდა დავეხმაროთ კატალიზატორის შეძენაში. ასე, პირველივე თვეებში ეკოლოგიური ბალანსი საგრძნობლად გამოსწორდება და შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის სისუფთავეს თითოეული მოქალაქე იგრძნობს.

— ბატონო დიმა, ბორჯომის ხეობაში არსებულ პრობლემაზეც მინდა ვისაუბროთ. რუსეთის ფედერაციამ დახმარება შემოგვთავაზა, თუმცა, ხელისუფლებამ უარი განაცხადა. როგორია თქვენი პოზიცია?

— პირველ რიგში, ყველა დილეტანტის და პოპულისტის გასაგონად მინდა ვთქვა: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც მე19-ე საუკუნეშია დაფუძნებული, მთელი კაცობრიობისთვის მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობაა. მისი დაცვა, გადარჩენა მხოლოდ ქართული ან რეგიონალური პრობლემა არ არის.

კვირიკაშვილი მიესალმა რუსეთიდან შემოთავაზებულ დახმარებას, მაგრამ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რუსეთის დახმარება არ გვჭირდება. ანუ, არ მივიღეთ იმ სახელმწიფოს დახმარება, რომელსაც სატყეო ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში დახმარებას სთხოვს საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის მთავრობები. რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მართვის სამინისტრო არის სახელმწიფო სახელმწიფოში, უზარმაზარი ბიუჯეტით და არნახული ტექნიკით. უკვე დაგვიანებულ პირობაზე როცა ცეცხლი 20 ჰექტრამდე გავრცელდა, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, ამ განსაკუთრებული ტექნიკის გამოყენებით, ცეცხლის სრული ლოკალიზაცია მომხდარიყო. ბორჯომის ხეობაში განვითარებული მოვლენები ასე ადვილად არ ჩაივლის. ჯერ პასუხი უნდა გაეცეს რა არის ამ კერების გამომწვევი მიზეზები. ამ პროცესს პოლიტიკური საარჩევნო მიზნებისთვისაც იყენებენ ჩვენი ოპონენტები, რაც უზნეობაა. ამ ეტაპზე საჭიროა გამოძიება ჩატარდეს და გაირკვეს რეალურად, რასთან გვაქვს საქმე.

სამწუხაროდ, ხელისუფლება „ნაცმოძრაობის“ და ზოგადად, ლიბერალური ფრთის მხრიდან სტიგმატიზირებულია. პირდაპირ ისმის მოწოდებები: აბა, ერთი გაბედეთ და რუსეთს რამე სთხოვეთ; როგორ შეიძლება ოკუპანტს რაღაც დავეკითხოთ; როგორ შეიძლება ოკუპანტი დაგვეხმაროსო. და ეს იცით რა პირობებში, როდესაც ჩვენ რუსეთთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის სტრატეგიული ურთიერთობა გაგვაჩნია; ასევე, ვაჭრობის სფეროში — აქედან გატანილი საქონელის, საგარეო ექსპორტის 67% სწორედ რუსეთის ფედერაციაზე მოდის. გარდა ამისა, რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა მილიონიან ნიშნულს მიუახლოვდა. ასევე, უარი ვთქვით დახმარებაზე იმ პირობებში, როდესაც ევროპის საბჭოს საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში ორივე ამ ორგანიზაციის წევრები ვართ.

— გამოდის, რომ იმის შიშით არიქა „ნაცებმა“ არ გვისაყვედურონ ან აშშ-მ ყური არ აგვიწიოს როგორ თუ რუსეთს დახმარება სთხოვეთო, უარს ვამბობთ და ქვეყნის დაზარალება გვირჩევნია?.

— ეს მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ დამუნათების შედეგი არ არის. „ქართულ ოცნებას“ „ნაცმოძრაობა“ ყოველთვის ჰყავს ლელვის ფოთლად აფარებული და წინასაარჩევნოდ ამ ტემპერატურას ზრდის იმისთვის, რომ საკუთარი სასარგებლო დივიდენდები მიიღოს. ეს ყველაფერი დასავლეთისა და აშშ-სგან არის ორკესტრირებული. ამერიკის ელჩმა იან კელიმ განაცხადა: აშშ საქართველოს კონკრეტული წინადადებებით დაეხმარება და ისინი ილოცებენ ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის, ვინაიდან ბორჯომი, თურმე, ძალიან ლამაზი კურორტია. ამ სიტყვებით შემოიფარგლა აშშ და მისი ელჩი საქართველოში მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერაციიდან დახმარების პრაქტიკული ხელი გვქონდა გამოწვდილი. სწორედ ეს არის ნათელი ლუსტრაცია. ამას დავარქმევდი ლუსტრაციის ხანძარს. ეს იყო ლუსტრაციის ხანძარი. ბორჯომის ხანძარი ეს არის მხოლოდ ლაბორატორიული მოდელი იმისა, თუ რა ბედი შეიძლება ეწიოს საქართველოს თუკი იგი გახდება ზესახელმწიფოთაშორის დაპირისპირების პოლიგონი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნუგზარ ანთელავა

„კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები“

თანამედროვე ქართულ-კავკასიურ ისტორიოგრაფიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს პროფესორ ნუგზარ ანთელავას ფუძემდებლური ნაშრომი – „კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები“ (რედაქტორი პროფესორი მერაბ ჩუხუა). ერთი მეცნიერის მიერ მისი შექმნა ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, ვინაიდან ეს მრავალრიცხოვანი პირველხარისხოვანი შრომების ავტორის შესაძლებლობის პირდაპირპროპორციულია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ენციკლოპედიის შექმნა ჩვეულებისამებრ კომპეტენტურ პროფესიონალთა ჯგუფის მოვალეობას შეადგენს.

ნაშრომის შემადგენელი ნაწილებია: წინათქმა, შესავალი და კონკრეტული პრობლემები: 1. მითი და მითოლოგია, 2. მითის სახეობები, 3. მითიური გმირები, 4. რიტუალი.

დასახელებული გამოკვლევის შემდეგ ანბანის რიგზეა აღწერილი კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები.

როგორც ავტორმა გვაუწყა, კავკასიის მოსახლეობის მითოლოგიის, რელიგიის, ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების მეცნიერული აღწერა და შესწავლა XIX საუკუნიდან დაიწყო. ავტორს არც ის გამორჩენია მხედველობიდან, რომ კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის შესწავლისადმი ინტერესი უძველესი დროიდანვე ჩნდება, ხოლო რამდენადმე ინტენსიურ ხასიათს უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ღებულობს. ამ პერიოდში მეტნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა როგორც ავტოქტონი ეთნოსების, ისე კავკასიაში გვიან დასახლებული ინდოევროპელებისა და თურქულენოვანი ხალხების მითოლოგიისა და წეს-ჩვეულებების სინქრონული აღწერა. ამგვარმა ეთნიკურმა მრავალსახეობამ განაპირობა ჰუმანიტარული დარგების სპეციალისტთა დაინტერესება.

ავტორის განმარტებით, კავკასიის ხალხთა მითოლოგიის, რწმენა-წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების სინქრონული შესწავლის პარალელურად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება ხსენებულ საკითხთა დიაქრონულ ჭრილში კვლევას და ცალკეულ ეთნოსთა შორის გავრცელებული მონაცემების ურთიერთმიმართებების დადგენა. ეს იმიტომ, რომ კავკასიაში ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და ინტენსიური ურთიერთობის პირობებში ჩამოყალიბებულ პალეოკავკასიურ, ინდოევროპულ და თურქული მოდგმის ხალხების სოციოკულტურულ ერთობას საფუძვლად უდევს ეთნიკურ ფასეულობათა ორმხრივი ინფილტრაციის შედეგად წარმოქმნილი ტრადიციული კულტურის იდენტური ღირებულებები.

ნ. ანთელავა მნიშნელობას ანიჭებს მითებისა და რიტუალების შესწავლის სადღეისო შედეგებს, მაგრამ, იმის გამო, რომ დღემდე არ იყო შექმნილი შემაჯამებელი ხასიათის არცერთი ნაშრომი, მან ივალდებულა მთელი კავკასიური სამყაროს მონაცემების მოხმობა და მეცნიერული ანალიზი. ენციკლოპედიური ხასიათის ეს ნაშრომი ქართულ-კავკასიურ ისტორიოგრაფიაში სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ხალხების ისტორიულად ჩამოყალიბებული მითოშემოქმედების, რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების კომპლექსურად შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს.

ნაშრომის შესავალში წარმოჩენილია ყველა ის თავისებურება, რაც დამახასიათებელია მითის, მითოლოგიის, მითის სახეობების, მითიური გმირებისა და რიტუალების შინაარსისათვის. ავტორის განმარტებით, ბერძნული ტერმინი მითი იგივეა, რაც ქართული თქმულება ან გადმოცემა. იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების პირველ ფორმას, რეალობის შესახებ ქვეცნობიერად, იმპულსურად შობილ განზოგადებულ კოლექტიურ იდეას, გარემომცველი სამყაროს კონცეპტუალური შეცნობის საშუალებას. მითი გვამცნობს ღმერთებს, ღვთაებრივ და დემონურ არსებებს, თავიანთი წარმომავლობით ღმერთებთან დაკავშირებულ გმირებს და პირველწინაპრებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ქვეყნიერების, მისი ბუნებრივი და კულტურული ელემენტების შექმნაში მონაწილეობენ. ამის შესაბამისად, მითოლოგია, როგორც მითების ერთობლიობა, სამყაროს შესახებ ფანტასტიკური წარმოდგენების სისტემაა და იმავდროულად მითების შემსწავლელ მეცნიერებასაც აღნიშნავს.

მითის ზოგად განმარტებასთან ერთად, ნაშრომში აღწერილი და კვალიფიცირებულია მითის სახეობები (ეტიოლოგიური, კოსმოგონიური, ანთროპოგონიური, ტყუპთა მითები, ტოტემისტური, კალენდარული, საგმირო, ესქატოლოგიური).

ნაშრომში სათანადო ადგილი დაეთმო ცნობებს მითიური გმირების შესახებ. მათ შორის ფიგურირებენ პირველწინაპრები – გვარებისა და ტომების გამჩენნი და ამ სოციალურ გაერთიანებათა მომწესრიგებელნი. მითიური გმირების რიგში დგანან კულტურული გმირები – მითიურ პერსონაჟთა უნივერსალური კატეგორია, ღვთაებათა ან მოკვდავ ადამიანთა, ან კიდევ ღვთაებათა და ადამიანთა ვაჟები და შთამომავლები, კულტურული საგნების (ცეცხლის, კულტურული მცენარეების, შრომის იარაღების, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და სხვ.) მომპოვებელნი ან შემქმნელები, ხვნა-თესვის, ხელობის, ხელოვნების პირველი მასწავლებლები, ანუ კულტურის შემქმნელები. მითიური გმირების ზებუნებრივ არსებათა კლასს განეკუთვნებიან ღმერთები. ისინი წარმოადგენენ უმნიშვნელოვანესი სტიქიებისა და სოციალური ფუნქციების პერსონიფიკაციას, განაგებენ ბუნების ცალკეულ ძალებსა და მთლიანად კოსმოსს, შეადგენენ პანთეონს, რომლის ყოველი წევრის ფუნქცია გამიჯნულია სხვათა ფუნქციებისგან. პანთეონის სათავეში დგას უზენაესი ღმერთი, რომლის რანგში, როგორც წესი, მზის და ჭექა-ქუხილის, ზოგადად, ამინდის ღვთაებები გვევლინებიან. ღმერთებზე დაბალი რანგის ზებუნებრივ არსებებად წარმოგვიდგებიან სულები, რომლებიც განვითარებულ მითოლოგიურ სისტემებში ბუნების მატერიალურ ობიექტებს (ხეებს, წყაროებს, მთებს და სხვ.), ბუნების ძალებსა (კლიმატურ, ატმოსფერულ მოვლენებს) და სოციალურ კავშირებს (წინაპრებს, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს და სხვ.) განასახიერებენ. ამავე კლასში ერთიანდებიან ადამიანთა, გვართა, საკრალურ საგანთა, სნეულებათა მფარველი სულები, ნადირთპატრონები, სხვადასხვა სახის პარციალური სულები.

წიგნის სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს რიტუალი, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მრავალი სოციალური და იდეოლოგიური მოვლენის ინსცენირებასთან. რიტუალი თავისი შესრულების მანერით ყველა ხალხის და ყველა ეპოქისათვის ნიშანდობლივი თავისებურებებით არსებობდა. რიტუალის ზოგიერთი ნაირსახეობა დღესაც მოქმედებაშია. ავტორის განმარტებით, რიტუალის გარეშე არც მაგიური ქმედება სრულდება და არც რელიგიური კულტი. მისი მიზანია, აწმყოში დააფიქსიროს, რეალურად აღადგინოს მითიური ვითარება, რომელიც ხალხისა თუ ადამიანთა ჯგუფის ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპთან არის დაკავშირებული და ამით თვალნათელი გახადოს მათი ერთიანობა. რიტუალი ემსახურება ტრადიციის განმტკიცებას, რამდენადაც მასში აისახება, აღდგება ყველაზე არქაული (არქეტიპული) საკულტო სტრუქტურები (ანალოგიურ როლს ასრულებს წინაპართა კულტთან დაკავშირებული დაკრძალვის რიტუალიც).

ძირითად პრობლემათა ინტერპრეტაციის შემდეგ, ნაშრომში საგანგებო ადგილი ეთმობა სპეციალურ ლიტერატურაზე და წყაროებზე დაფუძნებულ ენციკლოპედიურ განმარტებებს.

მიმოხილვას იმით დავასრულებ, რომ ნუგზარ ანთელავას წიგნი წარმოადგენს ენციკლოპედიურ ნაშრომს, რომელშიც კავკასიოლოგიური მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით და ორიგინალური ხედვით პანორამულადაა გადმოცემული რეგიონის მკვიდრთა მითოლოგიასთან და რიტუალებთან დაკავშირებული, თითქმის, ყველა ძირითადი საკითხი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პროფესორი ნუგზარ ანთელავა ახლო მომავალში შექმნის ანალოგიურ გამოკვლევას საკუთრივ ქართული მითებისა და რიტუალების შესახებ.

ვალერიან ითონიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ყაზახეთი

ყაზახეთი კონსტიტუციის დღეს აღნიშნავს

30 აგვისტოს ყაზახეთი კონსტიტუციის დღეს აღნიშნავს! ყაზახეთის მოქმედი კონსტიტუცია მიღებული იქნა სახალხო რეფერენდუმზე 1995 წლის 30 აგვისტოს, კონსტიტუციის განხილვაში მონაწილეობა 3 მილიონზე მეტმა მოქალაქემ მიიღო.

კონსტიტუციის მიღების დღიდან 22 წლის განმავლობაში ყაზახეთში ტრადიციად იქცა ამ დღის აღნიშვნა საზეიმო ღონისძიებებით ქვეყნის ყველა ქალაქსა თუ დასახლებულ პუნქტში. ყაზახეთის კონსტიტუცია განამტკიცებს მოსახლეობის ნებას დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისა, სადაც უმაღლეს ფასეულობას ადამიანი, მისი სიცოცხლე, მისი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს. სახელმწიფო ხელისუფლება ცნობს და აღიარებს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებები და დანამატებები 4–ჯერ შევიდა: 1998, 2007, 2011 და 2017 წლებში.

1998 წლის ცვლილებები შეეხო პრეზიდენტის ვადას და უფლებამოსილებებს, სენატისა და მაჟალისის დეპუტატებს (პარლამენტის ზედა და ქვედა პალატები), სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთათვის მოიხსნა ასაკობრივი ზღვარი. გარდა ამისა, 1998 წლის ცვლილებების თანახმად მაჟილისის 10 დეპუტატი პარტიული სიით პროპორციული სისტემით აირჩევა.

ასევე ცვლილებები კონსტიტუციაში შევიდა 2007 წელს. საერთო ჯამში აღნიშნული ცვლილებების არსი მდგომარეობდა შემდეგში: გადასვლა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე; პარლამენტის სტატუსის გაძლიერება ნორმის მიღებით, რომლის თანახმად პრემიერ–მინისტრს ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობა; ყაზახეთის სახალხო ასამბლეისთვის საკონსტიტუციო სტატუსის მინიჭება, მას ასევე მიეცა უფლება დელეგატების დელეგირებისა პარლამენტის მაჟილისში და სენატში დამტკიცებული კვოტის თანახმად.

2011 წლის თებერვალში კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომელიც შეეხო კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრას ქვეყნის პრეზიდენტის დანიშვნასთან და საპრეზიდენტო ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით.

2017 წლის მარტში ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ხელი მოაწერა კანონს „ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებების და დანამატების შეტანის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს სახელისუფლებო შტოებს შორის უფლებამოსილების გადანაწილებას, თუმცა პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ „ყაზახეთი არის და იქნება ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობით“. მისივე განცხადებით აღნიშნული რეფორმა მნიშვნელოვნად გაზრდის რესპუბლიკაში მთავრობისა და პარლამენტის როლს, ხოლო პრეზიდენტს მთავარი არბიტრის როლი მიენიჭება.

კანონში შეტანილი ცვლილებები მიმართულია პარლამენტის როლის გაზრდაზე. დოკუმენტი აფართოებს მაჟილისის მნიშვნელობას მთავრობის ფორმირებაში, ასევე აძლიერებს პარლამენტის საკონტროლო უფლებამოსილებას მინისტრთა კაბინეტის საქმიანობაში.

ყაზახეთის მთავრობა ერთნაირად პასუხისმგებელი ხდება როგორც ქვეყნის პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის წინაშე. პრემიერ-მინისტრი ვალდებულია ჩააბაროს ანგარიში მინისტრთა კაბინეტის მოღვაწეობის მთავარ მიმართულებებზე არა მხოლოდ პრეზიდენტს, არამედ პარლამენტსაც. გარდა ამისა, მთავრობა უფლებამოსილებას იხსნის არა ახლად არჩეული პრეზიდენტის წინაშე, არამედ ახლად არჩეული მაჟილისის წინაშე. კანონპროექტი კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დანამატების შესახებ ყაზახეთის პარლამენტის მაჟილისის და სენატის დეპუტატებმა დაამტკიცეს მეორე განხილვის დროს ა.წ. 6 მარტს.

ყაზახეთი და მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე

ყაზახეთი დიდი ქვეყანაა, ტერიტორიის მიხედვით მსოფლიოში მე-9 ადგილს იკავებს. ყაზახეთში აღარ არსებობს ბირთვული იარაღი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყაზახეთში დარჩა უზარმაზარი ბირთვული პოტენციალი, ქვეყნის ტერიტორიაზე იყო განლაგებული საბჭოთა კავშირის უმსხვილესი გამოსაცდელი, კოსმოსური და ბირთვული პოლიგონები – ცნობილი სემიპალატინსკის პოლიგონი.

ყაზახეთის პირველმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა უარი თქვა საბჭოთა ჯარის დანატოვარ ატომურ იარაღზე. ნურსულთან ნაზარბაევის განცხადებით ბირთვულ იარაღზე უარის თქმამ ქვეყანას უფრო ეფექტური უსაფრთხოება მოუტანა, შესაძლებელი გახდა ქვეყნის ეკონომიკაში მეტი ინვესტიციის მოზიდვა.

1996 წლის 30 სექტემბერს ყაზახეთი შეუერთდა ხელშეკრულებას ბირთვული ცდების საყოველთაო აკრძალვის შესახებ.

2011 წლის 29 აგვისტოს საერთაშორისო ფორუმზე – მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე – მიღებული იქნა ასტანას დეკლარაცია „მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე“. მას შემდეგ 29 აგვისტოს ზეიმობენ, ვინაიდან ხელისუფლების აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი სრულიად ყაზახეთმა დაუჭირა.

2017 წლის 29 აგვისტოს ასტანაში გაიხსნა პაგუოშის მეცნიერთა მოძრაობის 62–ე კონფერენცია, რომელზეც ყაზახეთის სენატის სპიკერმა კასიმ–ჟომარტ ტოკაევმა განაცხადა:

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ 2005 წელს სემიპალატინსკში ხელმოწერილი ხელშეკრულების ინსტიტუციონალიზაციაზე, რომელიც გულისხმობს ცენტრალურ აზიაში ზონის შექმნას ბირთული იარაღის გარეშე. ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი წვლილი ბირთვული იარაღის არგავრცელებაში გახლავთ ყაზახეთის ტერიტორიაზე დაბალგამდიდრებული ურანის ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (МАГАТЕ) საერთაშორისო ბანკის დაარსება. მან ასევე აღნიშნა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ყაზახეთს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, მკაცრად ასრულებს დაკისრებულ საერთაშორისო ვალდებულებებს ამ დარგში. ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოება ყაზახეთს ანტიბირთვული მოძრაობის ლიდერად მიიჩნევს“.

ყაზახეთის პარლამენტის სპიკერმა ასევე აღნიშნა:

„ჩვენი ქვეყნის ინიციატივით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია გამოეცხადებინა 29 აგვისტო საერთაშორისო დღედ ბირთული ცდების წინააღმდეგ, ხოლო 26 სექტემბერი გამოცხადდა ბირთვული იარაღის მთლიანად განადგურების საერთაშორისო დღედ. ყაზახეთი ასევე ინიციატორია საყოველთაო დეკლარაციისა მსოფლიო–ბირთვული იარაღის გარეშე, რომელიც გაეროს ასამბლეამ მიიღო 2015 წლის დეკემბერში.

საპარლამენტო უმრავლესობისა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის პოზიცია თანხვედრაშია

კიდევ ერთხელ მივესალმები საკონსტიტუციო ცვლილებების თვალსაზრისით ჩატარებული საქმიანობის წარმატებით დასრულებას. მჯერა, რომ ქვეყნის პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე ამ პრობლემას დაესმება საბოლოო წერტილი და მივიღებთ კონსტიტუციის ახალ რედაქციას, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უყოყმანოდ დაუჭერს მხარს. ამასთან, ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში, ნებისმიერ ე.წ. პოლიტიკურ პარტიას და თვითმარქვია არასამთავრობო ორგანიზაციას შეუწყდებათ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და უფუნქციოდ დარჩენილი ვაიპოლიტიკოსები, მუდმივად წყლის ზედაპირზე ტივტივს, ამჯობინებენ თავიანთი პროფესიული ცოდნა, დრო და ენერგია მომავალში მაინც მოახმარონ ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეებს. რაც შეეხება დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებს, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მათ უნდა შეექმნათ აბსოლუტურად თანაბარი პირობები, რაც განაპირობებს იმას, რომ ღირსეულმა, **უფულო** კანდიდატმა, აჯობოს უღირს — **ფულიან** კანდიდატს. ამ თვალსაზრისით, რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებს აგრეთვე ცსკ-ს უფლება-მოვალეობანი, რაც დეტალურადაა ჩამოყალიბებული ჩვენს არაერთ სტატიაში, რომელზეც მზად ვარ, სათანადო დონის დაინტერესებულ მხარესთან გავმართო შესაბამისი დებატი.

ჩვენი მომავალი საქმიანი შეხვედრის სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით, ჩემს მომავალ ოპონენტებს ვთხოვ წინასწარ გადახედონ თუნდაც ქვემოთ მოტანილ ჩვენს რამდენიმე პუბლიკაციას: „პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები — პოლიტიკურ საქმიანობას“ (2001 წ.); „პოლიტიკოსები ისევ ქურდობენ“ (2003 წ.); „სამჯერ წავიტეხეთ ფეხი, სამჯერ ვერ ავირჩიეთ რიგიანი პარლამენტი“ (2003 წ.); „ნაციონალებს ხმას არ მივცემ!“ (2012 წ.); „ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის საქმიანობის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების წინააღმდეგი ვარ“ (2013 წ.); „ჯერ არ შემხვედრია გონიერი ქართველი, რომელიც მხარს უჭერს არჩევნების პროპორციულ სისტემას“ (2017 წ.); „წურბელობას მუშა ფუტკრის როლი ვამჯობინოთ!“ (2017 წ.).

ვაიპოლიტიკოსებო, გარისკეთ ჩემთან შეხვედრა და დანარჩენი იქ გამოჩნდება!

რიგითი ამომრჩეველი
ანზორ ბაბუხადია
ტელ.: 599 545 460

ბუბა ხოტივარი:

მაშინ, მეორე საუკუნეში...



(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1-12, 30 2017)

რეჟისორის ასისტენტი – ირაკლი ვაშაყმაძე. გადაღებებისას ნაბიჯს ვერ ვდგამდი მის გარეშე. არც კი გაჩვენებდა, თუ რა დიდი მასშტაბის სამუშაოს ასრულებდა ეს ჩუმი, დაუზარელი კაცი. წამითაც არ დაჯდებოდა უსაქმოდ – სულსა და გულს დებდა ყველა წვრილმანში. სამუშაო ობიექტზე რომ გავდიოდით, აღმოჩნდებოდა, რომ გადაღებისათვის ყველაფერი მზად იყო. მაშინ ვერც კი ვგრძნობდი, რომ ეს იყო სასწაული. მეგონა, რომ ეს ასეც უნდა იყოს – მხოლოდ სხვა ფილმებზე მუშაობისას მივხვდი ირაკლის ნამდვილ ფასს. „ლაზარეში“ ირაკლის გულის დიდი ნაწილია ჩადებული. მიხარია ეს და მადლობას ვწირავ უფალს – დიდი საჩუქარია ასეთ ადამიანებთან დააახლოება. ღმერთმა მომცა საშუალება მათთან ურთიერთობისა, მათი ცხოვრებისა და ღვაწლის უშუალო ხილვისა.

2015 წლის დამატება: არავინ იცოდა, რომ ირაკლი ვაშაყმაძე ლექსებს წერს. ახლახან წავიკითხე და გავოცდი. სწორედ 1972 წელს, მაშინ, როცა „ლაზარეს“ ვიღებდით, ჩუმად თურმე ლექსებს წერდა. აი ერთი („ლოცვა“):

„მამულ-დედულო!
დაფლეთილი შენი სხეული,
შურისა და მტრობის
უფსკრულებზე გადამსხვრეული,
გამრთელდებაო – მაიმედებს
მამა-უფალი
გამრთელდებაო – მაიმედებს
დედა-მწუხარი
დედულ-მამულის გამიცოცხლე,
ღმერთო, სხეული!
შურისა და მტრობის
უფსკრულებზე გადამსხვრეული“.

აი, კიდევ, ფრაგმენტი „სინანულიდან“:

„რა დარჩა?!
სულში ჩამდნარი სევდა,
და სიხარული ასე მცირედი,
არადა, გახსოვს?
მოფრენილ მერცხლებს,
რა სიხარულით მივაცილებდით.
რა დარჩა?!
სულში ცრემლი ჩამდნარი,
არადა, გახსოვს? ჩვენ დანახვაზე
ფოთლებს ისხამდა ხმელი ჭადარი
...“ და ა.შ.

წიგნს ვეღარ მოვწყდი, ერთი-ორჯერ, მგონი, წამოვიყვირე კიდეც. ეს ნამდვილი პოეზიაა. დიდი ქართული პოეზია. ყველა ლექსი ანკარა წყაროა, ისევე შეურყვნელი, როგორც თვით ირაკლია – გამაოგნებლად წესიერი და დაუცველი როგორც ჩვილი ბავშვი, რომელიც, როცა სერიოზულად შემოგხედავს, რატომღაც უხერხულ მდგომარეობაში ვარდები – თითქოს ანგელოზი გიყურებსო, თითქოს შენი განსჯა იწყებაო... ვიცი, მოვა დრო და ირაკლი ვაშაყმაძე აღიარებული იქნება, როგორც ძალზედ სერიოზული პოეტი. ძალზედ სერიოზული..

* * *

ფილმის დირექტორი – გურამ ბეგიაშვილი. გინახავთ მხიარული დირექტორი? გინახავთ ბავშვივით გულუბრყვილო ხელმძღვანელი, რომელიც არავის ჩაგრავს და არავის ატყუებს, ყველას დღედაღამ ამუშავებს და ყველა კმაყოფილი ყავს? გაიხსენეთ, გინახავთ წესიერი დირექტორი, სავსე გონიერებითა და ენერგიით? ტყუილად ნუ წვალობთ – არ გინახავთ, იმიტომ, რომ ასეთი ბუნებაში არ არსებობს. მე კი მინახავს. ეს იყო გურამ ბეგიაშვილი. ჩვენ მას ფილმის "შიდა წვის ძრავა" შევარქვით, არც სხვას ასვენებდა, არც თვითონ ისვენებდა, ყველას შრომის ენთუზიაზმით გვავსებდა. რომ არა გურამის თავდადება არც კი ვიცი, ფილმს როგორ დავამთავრებდი – გადაღებისას ხომ არასოდეს შემქმნია ორგანიზაციული პრობლემა (იგივეს ამბობდა ქართლოსიც: ისინი ერთად მუშაობდნენ „სერენადაზეც“). კარგი ფსიქოლოგიც – ერთი-ორჯერ, გულგატეხილს, გადაღებაზე გული რომ ამიცრუვდა, მომაბრუნა ისევ ფილმისკენ და ყველა საკითხი, მაშინ გადაუჭრელი რომ მეგონა, უმტკივნეულოდ მომიგვარა...

აი ასეთი იშვიათი ხალხი მყავდა გვერდით და გამომივიდოდა ფილმი, აბა რა იქნებოდა. სხვა რა გზა მქონდა?

* * *

დაბოლოს – ფილმის მხატვარი ჯუანშერ თუთბერიძე. ჩემი უახლოესი ადამიანი. მის ზურგზე გადაიარა მუშაობის მთელმა სიმძიმემ გადაღებების მეორე ნახევარში. სულ გვერდზე მედგა და მახნევებდა. მანაც ძალიან ბევრი შემატა ფილმს. უსინათლოს ბორკილებით შებოჭვა და დუქანთან გამოჩენა ჯუნამ მოიფიქრა. ასეთი კეთილშობილი ადამიანი, ასეთი ზნეობრივი, ასეთი ლამაზი სულიერად და ფიზიკურად არ შემხვედრია არც მის გაცნობამდე, არც მას შემდეგ, რაც უდროოდ წავიდა ამა ქვეყნიდან. ის იყო კაცი, ნამდვილი კაცი, ქართველი რაინდი, ის იყო იდეალი, რომელიც ცხოვრებაში, ალბად, ერთხელ თუ შეგხვდება... თავზარი დაგვცა მისმა გარადაცვალებამ – ასეთი უსამართლობით თითქოს დედამიწას გზა აერიაო, თითქოს ცხოვრებას საყრდენი გამოაცალესო,– ასეთი შეგრძნება დაგვეუფლა ყველას, ვინც იცნობდა ჯუნას.

დაკრძალვის წინა ღამეს (1974 წლის 10 აპრილს) მღვდელმა წესი აუგო გარდაცვლილს. მთელი ღამის განმავლობაში ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ომარ ციკოლია მუხლმოყრილნი და სანთლებით ხელში მღეროდნენ საგალობლებს. რამდენი ხანი ძლებს ადამიანი ნებაყოფლობით მუხლებზე დაჩოქილი? მე ნახევარი საათიც ვერ გავძელი. ზვიადი, მერაბი და ომარი კი მთელი ღამის განმავლობაში – თითქმის მზის ამოსვლამდე – მორჩილად იდგნენ მუხლებზე. მღვდელთან ერთად დროდადრო სასახლეს ჩოქვით შემოუვლიდნენ, ლოცულობდნენ და გალობდნენ. ლოცულობდნენ და გალობდნენ ისეთი რწმენით, ისეთი ბავშვური გულწფელობით, რომ რამდენჯერმე თითქოს შევიგრძენი – ღმერთი მათ უსმენს, ღმერთი მათ უსმენს, ღმერთი მათ უსმენს...

გამოცხადებას ჰგავდა ეს ზეციური სილამაზე:^გალობის სტიქიაში მთლიანად ჩაფლული სამი ქართველი ვაჟკაცის ტკივილით სავსე სახე; ზეციური ნათელით, ამაღლებული რწმენითა და თანაგრძნობით გაცისკროვნებული ცრემლიანი თვალები; აბსოლუტური მუსიკალური სმენა, ურთულესი საგალობლების ყველა ნიუანსის ცოდნა; გალობისა და ლოცვის სულიერი ერთიანობის უნიკალური შეგრძნება – უხორცო ანგელოზების შთაგონება... თითქოს ზეციდან ისმოდა მათი ეს სამი ხმა და ისმოდა როგორც ერთი ხმა – ერთი განუყოფელი, მაგრამ ერთმანეთში გაურეველი და ერთმანეთისგან დამოუკუდებელი სამი ხმა – სამების ერთარსების უტყუარი ზეციური დასტური...

კეთილი გარეგნობის მღვდელი საკმეველით ხელში. მისი ჩუმი, თავშეკავებული ლოცვა – მართლაც ჩურჩული ღმერთთან. თბილი და ყველაფრის გამგები, ყველაფრის მპატიებელი ალერსიანი მზერა.

ეს გალობა არ იყო მხოლოდ გალობა – ეს იყო თავგანწირული ბრძოლა გარდასულის სულის გადასარჩენად, ეს იყო დავიწყება საკუთარი თავისა და მიწიერი პრობლემებისა, ეს იყო უაღრესად სერიოზული შინაგანი მობილიზაცია, ყველა სულიერი რესურსის კონცენტრაცია ერთი მიზნის მისაღწევად: სული, რომელიც წარდგება ღმერთთან, უნდა გადარჩეს – ღმერთის ნებით, მაგრამ ჩვენის დახმარებითაც, ჩვენის ლოცვითაც, ჩვენის სიყვარულითაც...

კედელთან მიყუჟული გატრუნული ჭირისუფალნი კი გაფართოებული თვალებით ვაკვირდებოდით ამ საღვთო მისტერიას. ისე დაგვათენდა, ვერც ვიგეძენით – სამოთხეში დროს ვერ გრძნობ. თანდათან ამ პატარა ოთახში შემოვიდა მზე და გაანათა ერთიანად ყველა – მღვდელიც, მგალობლებიც, ახლობლებიცა და გარდასულიც. ღვთის განგებით მოხდა სასწაული: გლოვა თანდათანობით შეიცვალა ამაღლებული გამწყობითა და წყნარი ბედნიერების შეგრძნებით. ჩვენს სულებში გამეფდა სრული ნეტარება. ყველამ ვიგრძენით და ეჭვიც არავის ეპარებოდა – სულმა ამჯერადაც სძლია ხორცს...

* * *

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ამბავი მერაბ კოსტავას ახალგაზრდობიდან.

ბავშვობიდანვე მერაბს მუსიკის უდიდესი ტალანტი აღმოაჩნდა. კონსერვატორიაში ჩაბარა, მაგრამ რეგულარულად ვერ უკრავდა, სახლში ინსტრუმენტი არ ჰქონდათ. დედამისმა ოლღა დემურიამ (ხოტივარების მხრიდან ოლღა ჩვენი ახლო ნათესავი იყო), დარდით შესჩივლა მამაჩემს, რა ვქნა, ბინაც რომ გავყიდო, მერაბს ინსტრუმენტს მაინც ვერ ვუყიდი, მუსიკას თავი უნდა გაანებოსო. მამაჩემმა მოკიდა მერაბს ხელი, ჩვენთან მოიყვანა სოლოლაკის ბინაში, როიალთან დასვა და უთხრა:

- ამ სკამზე რამდენიც დაგჭირდება, იმდენი შეგიძლია იჯდე, თუ გინდა – დღე და ღამეო.

მერაბს ესიამოვნა ნათქვამი. ამის შემდეგ საათობით იჯდა და უკრავდა ისე ბეჯითად, ისეთი შინაგანი კონცენტრაციით, ისეთი შთაგონებით, რომ იგრძნობოდა – მისგან მართლაც სერიოზული პიანისტი დგებოდა. წლების შემდეგ, როცა მერაბი კონსერვატორიის პირველ თუ მეორე კურსზე იყო, ის ერთხელ არ მოვიდა სამეცადინოდ. არ მოვიდა მეორეჯერაც, მესამედ რომ მოვიდა, მამაჩემს თხოვა:

- ლელიკო ბიძია, კონსერვატორიაში ნაცნობები ხომ გყავთ, მგონი რექტორი, იქნებ მომიხერხოთ, რომ გადამიყვანონ მუსიკათმცოდნეობაზე.

მამაჩემს გული მოუვიდა:

- რას აკეთებ, ბიჭო, როგორ ყრი ამდენი წლის ნაშრომს წყალში, მუსიკა აღარ გიყვარს?

მამის აყვირება მეორე ოთახში გავიგონე. სიცხიანი ვიწექი, ასე მახსოვს. დედა გვერდზე მეჯდა. ამ სცენამ ისე იმოქმედა ჩემზე, რომ თითქმის ყველაფერი დავიმახსოვრე. მეშვიდე თუ მერვე კლასში ვიყავი. ეს იყო, თუ არ ვცდები, 1961 წელი

მერაბს ცოტა არ იყოს ეუხერხულა, ასე რომ ააღელვა მამაჩემი. ცოტა ხანს იდგა თავჩაქინდრული, შემდეგ ასწია თავი და თქვა ჩუმი ხმით, მაგრამ ისე, რომ წყალი არ გაუვიდოდა:

- მუსიკა მიყვარს თავდავიწყებამდე, მაგრამ მასზე მეტად საქართველო მიყვარს!

მამაჩემი დაიბნა. ასეთ პირდაპირ პასუხს არ მოელოდა. შემდეგ კიდევ უფრო გაბრაზდა:

- რას ამბობ, კაცო, რას უშლის საქართველო, შენს პიანისტობას?

მერაბს უცებ გაეცინა. მამაჩემსაც გაეცინა, მაგრამ მაინც განაგრძო აღშფოთებით:

- ეს საქართველო ყველას როგორ უშლის ხელს, გამაგებინეთ! იმპერიას, მეზობლებს, ახლა პიანისტებსაც. რას ამბობ, მერაბ, გაგიჟდი?

- არც ბევრი მიკლია, ლელიკო ბიძია. პირქით არის საქმე – ჩემი პიანისტობა მიშლის მე – ახალ საქმეში. აწი დრო აღარ მექნება დღედაღამ დაკვრისა და რეპეტიციების.

- აჰა,– მიხვდა მამაჩემი ბრაზით,– ალბად ახალი ცოლი მოგყავს და საქართველოსთვის ბავშვების გაჩენაში ხელს გიშლიან მოცარტი, შუბერტი და რუსიკო!

მერაბს ისევ გაეცინა. მას უკვე ცოლიც ჰყავდა, რუსუდან ბერიძე და შვილიც, ირაკლი.

უცბად, მოულოდნელი მეტალით ხმაში, მერაბმა თქვა:

- ყველაფერს ვერ გეტყვით, ლელიკო ბიძია. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, თუ შეგიძლიათ.– მამაჩემს თბილად ჩაეხუტა, იქვე მოტრიალდა, სწრაფად გააღო კარი და რახარუხით დაეშვა კიბეებზე.

(გაგრძელება იქნება)

როგორ გადაარჩინა ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატმა რუსეთი

1579 წელს, ყაზანში მომხდარი დიდი ხანძრის დროს. 9 წლის მართლმადიდებელ გოგონას – მატრონას, რომლის მშობელთა სახლიც მთლიანად დაიწვა, სიზმრეულ ჩვენებაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ეჩვენა და ხმაც მოესმა, ჩაფერფლილი სახლის ქვეშ, მიწაში მოეძიათ ხატი. მართლაც, წმიდა ხატი ღუმელის ქვეშ, მიწაში დამარხული აღმოაჩინეს, სადაც, ალბათ, მუსლიმი თათრების ბატონობის დროს გადამალეს მართლმადიდებელმა მორწმუნეებმა. წმიდა ხატი, რომელიც ძველ მაუდში იყო საგულდაგულოდ გახვეული, გალობითა და დიდებით სვლით გადაასვენეს მახლობელ – წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, შემდეგ კი საბოლოო სამყოფლად ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების საკათედრო ტაძარი მიუჩინეს, სადაც იგი სასწაულთმოქმედებებით განიდიდა. აღსანიშნავია, რომ მისი ძალით ბევრმა ბრმამ აღიხილა თვალი...

კაცობრიობას XX საუკუნეში უმძიმესი განსაცდელი დაატყდა თავს რევოლუციები, სამოქალაქო ომები, ბოლშევიკების აღზევება და მათ მიერ უსასტიკესი ტერორი, შიმშილობა, მასობრივი რეპრესიები და ბოლოს, 1939–1945 წლების მსოფლიო ომი. ბევრი ძლევამოსილი სახელმწიფო დაეცა ამ ომში ბოროტების მსახური ფაშისტებისაგან, ბოლშევიკურ იმპერიაში ძალით თავმოყრილმა ხალხებმაც უზომოდ დიდი მსხვერპლი გაიღეს, მაგრამ მხოლოდ მათი ძალისხმევა ვერ იხსნიდა კაცობრიობას

უკეთურობის იმ ბატონობისაგან, რასაც ფაშიზმი უქადდა მსოფლიოს. მაშ, ვინ იხსნა კაცობრიობა?! ვინ გადაარჩინა ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესია ბოლშევიკურ უღმერთო იმპერიაში სრული განადგურებისაგან? ღვთის განგებით, რუსეთის მთავარ მლოცველად და მეგობრად ამორჩეულ იქნა მოძმე მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი მღვდელმთავარი ილია, ლიბანის მთათა მიტროპოლიტი. იგი კლდოვან ჯურღმულში ჩავიდა ღრმად, სადაც ვერ აღწევდა ქვეყნიური ხმაური და სადაც არ იყო არაფერი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის გარდა.

მეუფე სწორედ იქ განმარტოვდა, რამდენიმე დღის განავლობაში არც საზრდო მიუღია, არც წყალი დაულევია, არც დაუძინია და განუწყვეტლივ ევედრებოდა ღვთის დედას – განმიცხადე, როგორ არის შესაძლებელი რუსეთის შეწევნაო, სამი დღე-ღამის შემდეგ ცეცხლოვან სვეტში თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა მას და უთხრა: შენ, როგორც რუსეთის ჭეშმარიტი მეგობარი და მისთვის მლოცველი, არჩეული ხარ იმისთვის, რომ ღვთის განჩინება აუწყო ამ ქვეყანას. და თუკი ეს განჩინება არ იქნება შესრულებული, რუსეთი დაიღუპება საღმრთო განჩინება შემდეგში მდგომარეობდა: რუსეთის ხსნისათვის აუცილებლად უნდა გახსნილიყო მთელს ქვეყანაში ეკლესია-მონასტრები, სასულიერო სემინარიები და აკადემიები. ფრონტიდან დაბრუნებული და ციხე-ბანაკებიდან გათავისუფლებული მღვდლები, დიაკვნები და ეპისკოპოსები ღვთისმსახურებას უნდა შესდგომოდნენ. ამ საკვირველი გამოცხადების შემდეგ მეუფე ილია დაუყოვნებლივ დაუკავშირდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებს, საბჭოთა მთავრობას და აცნობა მათ ღვთის განჩინების შესახებ. სტალინმა გამოიძახა მიტროპოლიტი სერგი, მიტროპოლიტი ალექსი, სხვა მღვდელმთავრები და აღუთქვა, რომ შეასრულებდა ყველაფერ იმას, რაც მიტროპოლიტმა ილია მეორემ აუწყათ. სანქტ-პეტერბურგის წმიდა ვლადიმირის საკათედრო ტაძრიდან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ყაზანის ხატი გამოასვენეს და დიდებით სვლით ქალაქის გარშემო შემოატარეს. ამის შემდეგ ფაშისტებმა, მართლაც, ერთი ბიჯიც ვერ წადგეს ნევისპირა ქალაქისაკენ, ხოლო ბლოკადა გარღვეულ იქნა საქართველოს განმანათლებლის, წმიდა მოციქულთასწორი ნინოს ხსენების დღესასწაულზე – 14 (27) იანვარს! ეს მეტად საგულისხმო ფაქტია, რამეთუ ორი იმპერიის მიერ გაჩაღებულ ამ ომში თავდადებულად იბრძოდნენ, სხვებთან ერთად, მართლმადიდებელი ქართველნიც, რომელთაც უზომოდ დიდი მსხვერპლი გაიღეს: ომში წავიდა საქართველოს ყოველი მეხუთე მცხოვრები – 700000 კაცი, მათგან 400000-მდე ვერ დაბრუნდა. ამასთან საბჭოთა ჯარების მთავარსარდალიც ხომ ქართველი იყო, ჯუღაშვილის გვარის, სასულიერო სემინარიაში ნასწავლი კაცი, რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, გადამწყვეტ მომენტში მაინც ისმინა და ირწმუნა ღვთისმსახურთა მიერ უწყებული გზა მისი თვითმპყრობელური ნების ქვეშ მოქცეული ქვეყნის გადარჩენისა. პეტერბურგის შემდეგომ ყაზანის ხატმა მთელი რუსეთი მოვლო ძლევითა და დიდებით. ღვთის დედის ლოცვებისაგან აღსრულებული სასწაულითა და მისი თანადგომით გადარჩა მოსკოვი, რომლის მისადგომებიც პანიკურად დატოვეს გერმანელმა ფაშისტებმა. მოსკოვის შემდეგ ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ვოლგისპირა ქალაქში (სტალინგრადში) გადაასვენეს, სადაც მის წინაშე განუწყვეტლივ აღესრულებოდა პარაკლისები და პანაშვიდები. ხატი ვოლგის მარჯვენა ნაპირზე ესვენა და გერმანელებმა ვერაფრით ვერ შეძლეს მდინარის გადალახვა. ერთხელ ისეთი მომენტიც იყო, როცა ქალაქის დამცველნი ერთ მცირე ადგილზეღა დარჩნენ ვოლგის ნაპირას, მაგრამ მტერმა მაინც ვერ მოახერხა მათი განდევნა, რადგან წითელი არმიის მეომრებთან საკვირველმოქმედი ხატი იყო...

აღსანიშნავია ისიც, რომ კიევიც – რუსეთის მართლმადიდებელ ქალაქთა დედა – სწორედ ყაზანის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულზე იქნა გათავისუფლებული! იმ ხანებში ამოქმედდა მანამდე დახურული 22000 ეკლესია, გაიხსნა სასულიერო სემინარიები, აკადემიები, ტროიცე-სერგის, კიევო-პეჩორის ლავრები, ზოგიერთი სხვა მონასტერიც. ხელისუფლებამ ნება დართო სამღვდელოთ მიტროპოლიტ ალექსის წმიდა ნაწილები გადაესვენებინათ მოსკოვის ღვთის განცხადების საკათედრო ტაძარში, სადაც მთელი ამ ომის განმავლობაში განისვენებდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ყაზანის საკვირველმოქმედი ხატი. დაიწყო სარწმუნოების აღორძინება. ყოველივე ეს თავისთავად არის სასწაულებრივი ფაქტი საბჭოთა იმპერიისათვის, თუ გავიხსენებთ, რომ რევოლუციის შემდეგ უღმერთო ბოლშევიკებმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ეკლესიას და მებრძოლი ათეიზმის მეშვეობით მის სრულ მოსპობას ცდილობდნენ. ხურავდნენ და აფეთქებდნენ ეკლესია-მონასტრებს, აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და ხვრეტდნენ მღვდელმსახურებს, მართლმადიდებელ მორწმუნეებს. როცა, მაგალითად, კიევი დაიკავეს ფაშისტებმა, მთელს ქალაქში მხოლოდ ორი მოქმედი ეკლესია იყო, კიევის ოლქში კი – კიდევ ერთი. ამიტომ ფაშისტები, ცდილობდნენ რა ხალხის მხარდაჭერა მოეპოვებინათ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელს უწყობდნენ ეკლესიების ამოქმედებას. პარადოქსია, მაგრამ სწორედ მათი მხარდაჭერით 1943 წლისათვის მთელს კიევის ეპარქიაში უკვე 500-მდე მოქმედი ეკლესია იყო. ამის შემდეგ გასაგებია ბოლშევიკური მთავრობის რეაქციაც. ასე მოქმედებდა ღვთის მიუწვდომელი განგებულება: ორი ბოროტი ძალა – ფაშიზმი და ბოლშევიზმი – ერთმანეთს დაუპირისპირდა, ღმერთმა კი ეკლესია გადაარჩინა. (საყურადღებოა, რომ იოსებ სტალინის სიკვდილის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის დროს, ბოლშევიკური მთავრობა ახალი ძალით ეკვეთა ეკლესიას და კვლავ დაიწყო მართლმადიდებელ ქრისტიანთა დევნა. ამასთან, სპეციალისტთა ცნობით, ამ დროს უფრო მეტი ეკლესია დაინგრა და უფრო მეტი წმიდა ხატი განადგურდა, ვიდრე მთელს მანამდელ საბჭოთა პერიოდში!). 1947 წელს, პირადად ი. სტალინის მიწვევით, მიტროპოლიტი ილია რუსეთში ჩავიდა. მიტროპოლიტ ილიას მიართვეს ყაზანის ხატის ასლი, ძვირფასი ჯვარი და პანაღია, შეკული ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოტანილი პატიოსანი თვლით. მას სახელმწიფო პრემიაც მიანიჭეს, რაზეც სტუმარმა უარი განაცხადა – ბერი ვარ და ფული არ მჭირდებაო. თავის მხრივ კი, რუსეთს ორასი ათასი დოლარი გადასცა ანტიოქიის ეკლესიის სახელით – იმ ობოლ ბავშვებისთვის, რომელთაც მშობლები ომში დაეხოცათ. მიტროპოლიტი ილია სანკტ-პეტერბურგსაც ეწვია. 9 ნოემბრის დილით, მან წმიდა ნიკოლოზის ტაძარში სწირა და უძვირფასესი ძღვენიც მოართვა ამ ეკლესიას – ნიკოლოზ საკვირველმოქმედის წმინდა ნაწილები.

როგორც ცნობილია, 1941–1945 წლების სამამულო ომში მოსკოვის, პეტერბურგისა (ლენინგრადის) და ცარიცინის (სტალინგრადის) ბრძოლების შემდეგ, უდიდესი ორთაბრძოლა მოხდა კურსკთან (ე.წ. „კურსკის რკალი“), რომელშიც ორივე მხრიდან რამდენიმე მილიონი მებრძოლი და აურაცხელი ტექნიკა მონაწილეობდა. სწორედ ამ ბრძოლაში მოხდა გარდატეხა ომში და სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ფაშისტების განდევნა. მისი უშუალო მონაწილეების უტყუარი მოწმობით (ეს კი ასობით ადამიანია!), ბრძოლის დაწყების წინ მებრძოლებმა ცაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დაინახეს: იგი საკვირველად მბრწყინავი გამოჩნდა ღამით, ცაში, და ხელის მოძრაობით თითქოს შეტევისკენ მოუწოდებდა მათ. სახილველი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ჯარისკაცები და ოფიცრები, რომელთა უმრავლესობა ათეისტურად აღზრდილი და ურწმუნო იყო, მუხლებზე ემხობოდნენ და პირჯვარს ისახავდნენ. ყველა მხნეობით აღივსო და უშიშრად შეება მტერს, რადგან ცხადი იყო, რომ ღმერთი შეეწეოდათ. კურსკის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ შემობრუნება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში. ამ სასწაულის მოწმეთაგან ბევრნი დღესაც ცოცხალნი არიან და შეუძლიათ დაადასტურონ იგი, მით უმეტეს, რომ მათი უმეტესობა ღრმად მორწმუნე ადამიანია.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„ერთი მძღოლი მიყვებოდა, ფულის ნაცვლად, მგზავრებისგან იმდენი ქვიშა და აგური მაქვს სახსოვრად დატოვებული, რომ სოფელში საქათმე ავაშენეო“

გვესაუბრება მძღოლთა ასოციაცია „ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური.

– სამწუხაროდ, ტაქსის მძღოლების საქმიანობა უზარმაზარ რისკებს და საფრთხეებს უკავშირდება. ბევრი ამას ვერ აცნობიერებს და ჰგონია, რომ კერძო ტაქსებისა თუ სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლებს ადვილი სამუშაო და დიდი შემოსავალი აქვთ, სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა. 8 აგვისტოს, ისნის გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების შედეგად, 60 წელს გადაცილებული ტაქსის მძღოლი გარდაიცვალა. თვითმხილველის თქმით, გარდაცვლილი მამაკაცი საკუთარი, კერძო ტაქსით მოძრაობდა, როცა სამმა ნასვამმა მამაკაცმა ხელი აუწია და გაჩერება თხოვა. სავარაუდოდ, მძღოლი სხვა კლიენტის გამოძახებაზე მიდიოდა ან ნასვამების წაყვანას მოერიდა და მანქანა არ გააჩერა, მაგრამ ნასვამი მამაკაცები დაეწივნენ და სასტიკად გაუსწორდნენ.

– ფეხით მოსიარულეები, თანაც, ნასვამები, მანქანას როგორ დაეწივნენ?

– საცობების წყალობით.. რამდენიმე თვის წინ, ისნის მეტროდან 5 დეკემბრის ქუჩის მიმართულებით, წყლის მილები შეცვალეს, მაგრამ სამწუხაროდ, ათხრილ-დათხრილი გზა მიატოვეს. ამის გარდა, „საცობებს“ გამგეობასთან დამონტაჟებული შუქნიშანიც ქმნის. სწორედ აქ დაეწივნენ ნასვამი მამაკაცები გარდაცვლილს და მანქანაში ძალით ჩაუსხდნენ. შემთხვევა დღის 4 საათზე მოხდა, მაგრამ მთვრალებთან ურთიერთობას ყველა გაურბის, ყველა საკუთარ თავს უფრთხილდება და მოხუცი მძღოლი მოძალადეების პირისპირ მარტო დარჩა. ამით გათამამებულებმა, იმ გადათხრილი გზის პირას დაყრილ ქვებს ხელი დაავლეს და წაქცეულ კაცს თავი გაუტეხეს. როგორც ვიცი, მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა. ერთი დამნაშავე მაშინვე დააკავეს, ხოლო ორმა მიმალვა მოახერხა. წარმოიდგინეთ, 60 წელს გადაცილებული კაცი ამ პაპანაქება სიცხეში სამუშაოდ გამოვიდა, რომ სახლში პურის ფული შეეტანა და არაფრის გულისთვის, მოკლეს.. ეს ხომ ერთეული შემთხვევა არ არის. მძღოლებს ხან ცემენ, ხან ფულს ართმევენ, ხან ატყუებენ ფულს დავახურდავებო და ქრებიან.. ხან ვითომ ჩანთას უტოვებენ და ფულზე გადადიან, ჩანთა კი აგურებით ან ქვიშითაა სავსე. ერთი მძღოლი მიყვებოდა, ფულის ნაცვლად, მგზავრებისგან იმდენი ქვიშა და აგური მაქვს სახსოვრად დატოვებული, რომ სოფელში საქათმე ავაშენეო. მთვრალის წაყვანა ხომ საერთოდ, შარია..

კერძო ტაქსები კი არა, სამარშრუტო ტაქსების ბევრი მძღოლი გაჩერებულია, რადგან ზაფხულში მგზავრთა ნაკადი შემცირებულია, შემოსავალი არ არის და მანქანის შეკეთებას ვერ ახერხებს.

– საღამოს საათებში თბილისში აშკარად იგრძნობა სამარშრუტო მიკროავტობუსების სიმცირე.

– იმიტომ, რომ მუშაობა არა აქვთ, გეგმას ვერ ასრულებენ და არც არავინ უკლებთ ამ გეგმას. რამდენიმე დღის წინ, 50 ნომრის მძღოლს ვესაუბრე და ოჯახი, შვილები, მკვდარი და ცოცხალი დაიფიცა, დღენახევარია, სახლში ერთი ლარი ვერ მივიტანეო. ეს ყვითელი მიკროავტობუსებიც მოძველდა და შეკეთებას საჭიროებს, რისი საშუალებაც მძღოლებს აღარ აქვთ, ამიტომ ბევრმა მანქანა გააჩერა. მესმის, რომ მგზავრებს თავიანთი პრეტენზიები აქვთ, მაგრამ მძღოლმაც რა ქნას? სწორედ ამ მიზეზების გამო, სამარშრუტო მოკროავტობუსების მძღოლები სექტემბრის პირველ რიცხვებში უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან გამაფრთხილებელ აქციას გეგმავენ და თავიანთ მოთხოვნებსაც იქ გაახმოვანებენ. მძღოლიც ადამიანია და ასე გაგრძელება არ შეიძლება..

ნელი თორდია
571 35 36 88

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– წარმოშობს თუ არა ნიშნობა დაქორწინების ვალდებულებას?

– არა.

ვინაიდან, თანამედროვე ახალგაზრდებში აქტუალური გახდა დაქორწინებამდე ერთმანეთის დანიშვნა, საკითხს დაგიკონკრეტებთ სამართლებრივად სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით:

მუხლი 1109. დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ნიშნობა

1. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას.

2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.

3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

* * *

– გააჩნია თუ არა გერს საალიმენტო მოვალეობა მამინაცვლის ან დედინაცვლის მიმართ?

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1227-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან/და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს გერი მამინაცვალის ან/და დედინაცვლის რჩენის მოვალეობისაგან, თუ ისინი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ ხუთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აგრეთვე, თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის აღზრდის მოვალეობას.

* * *

– ნაშვილები ბავშვი არის თუ არა ბიოლოგიური მშობლების მემკვიდრე?

– არა, თუმცა არის გამონაკლისიც, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ:

მუხლი 1260. ნაშვილების ურთიერთობანი ბიოლოგიურ მშობლებთან

1. ნაშვილები კარგავს პირად და ქონებრივ უფლებებს და თავისუფლდება მოვალეობისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და წარმოშობით ნათესავების მიმართ.

2. ერთი პირის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში ნაშვილები ინარჩუნებს აღნიშნულ უფლება-მოვალეობებს — დედის სურვილით, თუ მშვილებელი მამაკაცია, ან მამის სურვილით — თუ მშვილებელი ქალია.

დამატებით განგიმარტავთ, რომ, სამოქალქო კოდექსის 1259-ე მუხლის მიხედვით, ნაშვილები და მისი შთამომავლობა — მშვილებლისა და მის ნათესავთა მიმართ, ხოლო მშვილებელი და მისი ნათესავები — ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მიმართ პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობებით უთანაბრდებიან შთამომავლობით ნათესავებს.

* * *

– ვცხოვრობ ქ. თბილისში, 14-სართულიან კორპუსში. ვარ ბინის მეპატრონე. გთხოვთ, მიპასუხოთ, აივნები შედის თუ არა ბინის საერთო ფართში?

– საბჭოური ცხოვრების დროს აივნები არ შედიოდა ბინის საერთო ფართში. დღეის მდგომარეობით, აივნები ფართის ნაწილია, ანუ შედის საერთო ფართში.

* * *

– მეორე მსოფლიო ომში მამის ტყვედ ჩავარდნის გამო, 1951–1953 წლებში გადასახლებულნი ვიყავით ყაზახეთში მთელი ოჯახი– მშობლები და ორი შვილი /მოსწავლე და სტუდენტი/, რასაც ადასტურებს რეაბილიტაციის საბუთი.

მეკუთვნის თუ არა მშობლებისა და გარდაცვლილი დის საკომპენსაციო თანხა? ჩემი და გათხოვილი არ ყოფილა და მის გარდაცვალებამდე, ე.ი. 80 წელი ვცხოვრობდით ერთად.

– ფულადი კომპენსაციის მიღების წესი დადგენილია კანონით „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, ასევე „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით“.

ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს პირს, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. რეპრესირებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს მის პირველი რიგის მემკვიდრეს. კანონით პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან: მშობელი, მეუღლე და შვილები.

ფულადი კომპენსაციის მოთხოვნა ხდება ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის გზით. სარჩელს შეტანის უფლება აქვთ რეპრესირებულს ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მის პირველი რიგის მემკვიდრეს. ასეთ სარჩელს განიხილავს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

* * *

– რა ოდენობის თანხა შეიძლება მოვითხოვოთ კომპენსაციის სახით?

– კანონით არ არის დადგენილი ფულადი კომპენსაციის ზუსტი ოდენობა. თითოეულ შემთხვევაში თანხის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო. თუმცა, აუცილებელია, რომ სარჩელში კონკრეტულად მიეთითოს, თუ რა თანხას ითხოვს მოსარჩელე (მაგალითად 15000 ლარი).

ხუთი ადგილი დედამიწაზე, სადაც ადამიანები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ

სარდინია

თქვენ შეიძლება გაოცდეთ, მაგრამ დედამიწაზე არსებობს მხოლოდ ხუთი ადგილი, სადაც ადამიანები ყველაზე დიდხანს ცოცხლობენ და ამასთან, სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებენ ჯანმრთელობასა და მხნეობას...

ამ ხუთი ადგილიდან, რომელთა საიდუმლოებების შესწავლას მეცნიერები დღესაც აგრძელებენ, სამი კუნძულია, ერთი – რეზერვაცია და ერთიც – სულიერი ოაზისი.

ოკინავა

მეცნიერი დონ ბუტნერი, რომელიც ასეთ ადგილებს შეისწავლის **National Geographic**-თვის, მათ ცისფერ ზონებს უწოდებს. ეს ხუთი ზონა ერთმანეთისგან არათანაბარი მანძილით არის დაშორებული, მაგრამ **New York Times**-ის ვერსიით, მათ რამდენიმე საერთო ნიშანი აქვთ:

– კულტურული გარემო, სადაც პროპაგანდას უწევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს, სწორ კვებას და სპორტს;

– ჯანსაღი ურთიერთობები და ფსიქოლოგიური კომფორტი;

– მიწაზე და ბაღში მუშაობის სიყვარული;

– თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სურვილი;

– ყველასთვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა;

– მოხუცი ადამიანების, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის, პატივისცემა.

სარდინია, იტალია

სარდინია იტალიის ნაპირებიდან 120 კმ-ით დაშორებული ულამაზესი კუნძულია. აქაური მამაკაცები ძირითადად ფერმერულ საქმიანობას ეწევიან და მწყემსები არიან. სწორედ მამაკაცები არიან აქ ყველაზე ხანდაზმულები.

სარდინიელების ხანგრძლივი სიცოცხლის საფუძველი შესაძლოა გენეტიკა იყოს, მაგრამ კუნძულის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მათ საშუალება აქვთ, იკვებონ ხმელთაშუა ზღვის პროდუქტებით და გამოიყენონ თხის რძე და ყველი. აქაურები ბევრს მუშაობენ, მაგრამ კარგად დასვენების ფასიც იციან. ისინი ინარჩუნებენ ცხოვრებაზე პოზიტიურ შეხედულებას და მას იუმორის გრძნობით უყურებენ.

ოკინავა, იაპონია

ამ კუნძულზე ხანდაზმულების ყველაზე დიდი პოპულაციაა. ეს ადამიანები მარტო ყველაზე დიდხანს კი არ ცოცხლობენ, არამედ სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებენ ჯანმრთელობასა და მხნეობას.

ძალიან პოპულარულია მებაღეობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, კონტაქტი ჰქონდეთ მიწასთან და მზესთან, ბევრი იმოძრაონ, მიიღონ ნატურალური და მდიდარი საკვები, ასევე კვების პოლიტიკა – „სუფრიდან ისე უნდა ადგე, რომ გშიოდეს“. მათ ცხოვრების მიზანი და სამყაროზე პოზიტიური შეხედულებები აქვთ.

ნიკოია

ნიკოია, კოსტა რიკა

ნიკოიას ნახევარკუნძული რეზერვაციაა, სადაც სიკვდილიანობის საშუალო მაჩვენებელი ძალზე დაბალია. აქაურ 60 წლის მამაკაცს უფრო მეტი შანსი აქვს, რომ 90 წელ მიაღწიოს, ვიდრე ამერიკელს. ასევე აქ ყველაზე დაბალია კიბოთი დაავადებების რისკი, ვიდრე მთლიანად კოსტა რიკაში.

ადგილობრივების საიდუმლო: მათი ცხოვრების მიზანი აქტიური ჯანსაღი ცხოვრების წესია. ისინი ძალიან ბევრ დროს ატარებენ სუფთა ჰაერზე, გააჩნიათ ოჯახური ფასეულობები და აფასებენ სულიერებას. სძინავთ 8 საათი. მათი დიეტა ნოყიერი და სასარგებლო პროდუქტებისგან შედგება, ისინი მიირთმევენ ხილს, ბოსტნეულს, მარცვლეულს, ბრინჯსა და სიმინდს, ასევე სვამენ ბევრ წყალს, რომელიც ბუნებრივად მდიდარია კალციუმითა და მაგნიუმით.

ლომა ლინდა, კალიფორნია

ლოს ანჟელესიდან 100 კმ-ის დაშორებით მდებარეობს თემი, რომელშიც 9000 ადამიანი ცხოვრობს. მეშვიდე დღის ადვენტისტები – რელიგიური ჯგუფია, რომლის წევრებიც ძალიან დიდხანს ცოცხლობენ. ისინი ჯანსაღი ცხოვრების წესს მისდევენ – არიან ვეგეტარიანელები, არ სვამენ ალკოჰოლურ სასმელს და არ მოიხმარენ თამბაქოს.

ლომა ლინდა

გარდა ამისა, ადვენტისტები მიირთმევენ ბევრ კაკალს და თხილს, სვამენ დიდი რაოდენობით სუფთა წყალს, მისდევენ სპორტს და ცდილობენ, შეინარჩუნონ ნორმალური წონა. ისინი ასევე სათუთად ეპყრობიან ემოციურ და სულიერ ჯანმრთელობას, ძალიან მაღალ დონეზე აქვთ აყვანილი ოჯახური ფასეულობები და ეწევიან ქველმოქმედებას.

იკარია, საბერძნეთი

იკარია ბერძნული კუნძულია, რომელიც თურქული საზღვრიდან 60 კმ-ში მდებარეობს. ცისფერი ზონის კვლევების მონაცემებით, აქ ქრონიკული დაავადებები იშვიათობაა, აქაურები ძალიან იშვიათად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა და სიმსივნური დაავადებებით, ასაკობრივი ჭკუასუსტობის შემთხვევები კი საერთოდ არ აღნიშნულა.

ადგილობრივები სიცოცხლის ბოლომდე ჯანმრთელები რჩებიან, რადგან ეწევიან ფერმერობას, მისდევენ თევზაობას, დიდ დროს უთმობენ დასვენებას და სხვა ადამიანებთან ურთიერთობებს. ხმელთაშუა ზღვის პროდუქტების გარდა, ადგილობრივები მიირთმევენ ბევრ მწვანე ბოსტნეულს და სვამენ ბალახის ჩაის, რომელიც მნიშვნელოვანი მიკროელემენტებითაა მდიდარი. აქ პოპულარულია ცხოვრების ჯანსაღი წესი და სოციალურ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა.

იკარია

* * *

აი, კიდევ რამდენიმე ქვეყანა, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა მაღალ მაჩვენებელს აღწევს: მონაკო, მაკაო, იაპონია, სინგაპური, სან მარინო.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ცისფერი ზონის ქვეყნებში ადამიანები პრაქტიკულად არ მოიხმარენ გადამუშავებულ შაქარს და პროდუქტებს, რომლებიც გადამუშავებულ საკვებს შეიცავს. გლობალიზაციის გამო სიტუაცია ნელ-ნელა იცვლება და ასეთ შორეულ ადგილებშიც აღწევს თანამედროვე საზოგადოების უარყოფითი შედეგები. ასეთი ეფექტი კი ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე უკვე ახდენს გავლენას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, ჩვენ შეგვიძლია საკუთარი არჩევანი გავაკეთოთ, ყოველდღიურად გამოვავლინოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც ცხოვრებაში არსებობს, რაც ჩვენთვის სასარგებლო, უკეთესი იქნება და სწორად ვიცხოვროთ.

იყავით ჯანმრთელი, ბედნიერი და მდიდარი!

თქვენ საკუთარი ქმედებების შედეგი ხართ!

იცოცხლეთ 120 წელს!

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com